XXVI № 7 – 8 XXVI

ივლისი და აგვისტო, 1915 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

ჟურნალ „ჯეჯილისა“

I გეშინიან, შე ეშმაკო, სად ასულსარ? სურათი . . 386
II ვაჟა-ფშაველას ხსოვნას. ლექსი სვიდ ბუდაძისა. . 387
III ფუტკარი რატომ ზოგ ყვავილებს არ ეკარება . . 388
IV ყვინჩილა და ფისო, ზღაპარი ლექსათ შაო მდგომელისა 390
V ვაი ჭკუისაგან. არ. ფინცუდაისა 393
VI ძალლები. იგავ-არაკი ი სიხარულიძისა 397
VII გაუმარჯოს საფრანგეთს! მოთხრობა მარსელისა ფრანგულიან 399
VIII ილიკო მოთხრობა. ანსტასია წერეთლისა 409
IX ტყვე-მატარებელი (თარგმანი) კულრაკლასი . . . 418
X რკოს ამბავი. (ზღაპარი სოფ. გლდანში ჩაწერილი) ივანე წამალაშვილის მიერ 419
XI ბაბა-ქალა. ლექსი გ. დ. ჯრეულაშვილისა . . . 422
XII წვრილმანი: ანდაზები, გამოცანები, ჩქარა-გამოსათქმელი, ზმა, აკროსტიხი, სავარჯიშო, რებუსი და ახსნა 423

XIII ყრმებს. ლექსი შაო მდგომელისა 426
XIV რიჩარდ ლომ-გულა (თარგმანი) ან. წერეთლისა . . 428
XV ვაჟა-ფშაველა. ნეკროლოგი ან. წერეთლისა . . 442
XVI ომი. ბიძია ჟორეს ნაამბობი. შემდეგი იქნება. თარგმანი კკ. მესხისა 445
XVII ამბავი ზესანელისა (წერილი მეხუთე). მზე და მისი საბრძანებელი იდა ალასანიშვილისა 454
XVIII ოსმალეთი (ისლამი) ალ. ფ—ასი. 462

რედაქცია უმორჩილესათ სთხოვს ხელის მომწერლებს ვისაც ხვედრი ფული არა აქვთ შემოტანილი---დაარჩარონ გამოგზავნა.

3.17
133.
ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯეჯილები

საყმაწვილო ნახატებიანი ყურნალი.

იბარდეს ფასსა ჯეჯილებსა
დაბურდეს ბასდი ყანაო!.

ბიბლიოთეკა

ივლისი და აგვისტო 1915 წ.

✦ წელიწადი მეოცდაექვსე ✦

ბიბლიოთეკა

თბილისი
ელექტრომბეჭდავი „ზრომა", ბოსტანის ქ. № 12.
1915

გეშინია, შე ეშმაკო, სად ასულხარ?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვაჟა-შეაველას ხსოვნას.

ულ კი არ გაგვშორებია
ჩვენი უბადლო მწერალი,
სამშობლოს სიმშვენიერის
და მისი ბედის მღერალი.

გულში იმედის ჩამდგმელი,
გამლადებელი სულისა,
ჩვენსკენ ეოველდღე მსროლელი
უჭვნობი თაიგულისა.

სორცს მისცა შვება მარტოკა
ბუნების წესით, ნებითა,
უკვდავი დარჩა ჩვენთანა
თავისი სიმღერებითა.

სავლე ჯბულაძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფუტკარი რატომ ზოგ ყვავილებს არ ეკარება.

(სიხსენი თქმულება)

ამბობენ, ღმერთმა რომ გააჩინა ქვეყანა და ადამიანი იგი არ აკლებდა თავის გაჩენილს სიყვარულს და მოწყალებას. ღმერთმა ყველაზე მეტათ შეიყვარა ფუტკარი, რადგან ხედავდა მის შრომის მოყვარეობას და ამიტომ მიანიჭა მას თაფლის გაკეთების უფლება. ამითი ხომ წმინდა სანთელიც ღვთის სადიდებლათ აინთებოდა.

ღმერთს უნდოდა ფუტკრის ერთგულობა გამოეცადა და ასე უთხრა: — გაფრინდი, ფუტკარო, გადათვალე ყველა ყვავილები რაც კი მოიპოვება დედამიწაზე და მერე თქვი, რომელი მათგანი მოგცემს საჭიროს თაფლისთვის, წმინდა სანთლისთვის.

ფუტკარი მსიარული ბზუილით გაფრინდა ყვავილების ჩამოსათვლელათ. ყველა ყვავილები დიდრონი და ჰატარები გადმოთვალა და ის იყო ჰასუსის მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხაცევაძთ უნდა მიფრენილიეო ღმერთთან, რომ ჰირ-ველათ ნახა უცხო სამი ევაკილი: თხის ფხელი, სამ-ეურა და წუწნელა.

— რა სურნელოვანია ეს მცენარეები! იფიქრა ფუტკარმა.—მაგაში უფრო მეტი თაფლი იქნება. ვინ იცის ამ ევაკილებისს ამბავი? მე მთელი დღეები ჭალა-მინდვრებში დაეფრინავ და ამაგ მცენარეებს ჰირველათ ვხედავ. მოდი ღმერთს არ გაუძღელ; თუ ღმერთი თავის მოწეალებას მომაკლებს, გამიწერება და ევა-ვილებს წაძართმევს, მაშინ ეს სამი ევაკილი მაინც ეძრჩება საჭრდოთ.

მიფრინდა ფუტკარი ღმერთან, ეველა ევაკილები ჩამოუთვალა და იმ სამ ევაკილზე თხის ფხელზე, სამეურაზე და წუწნელაზე კრინტი არ დასძრა.

— ეველა ევაკილი ჩამომითვალე? ჰკითხა სასა-ტიკათ ღმერთმა.

— ეველა, არც ერთი არ მომაკ-ლია, ღმერთო! იტეუა ფუტკარმა.

— თუ ეველა ჩამომითვალე, უთხრა ღმერთმა— დღეის იქით მხოლოთ იმითი იეკებებოდე და ადამი-ანს თაფლს ამლეკდე. და იმ ევაკილების მეხება კი, რომელნიც დამიძალე, არ გაბედო. თუ თხის ფხელს მიეკარები დაბრმავდები თორმეტი დღით, თუ სამეურას — არც შენ გაძღები და არც სკაში მიიტან რასმეს— რადგან იმაში ვერც თაფლს და ვერც სანთელს ვერ იპოვი და თუ წუწნელას შეეხები მაშინვე მოკვდები.

ამიტომაც არის რომ ფუტკრები არ აგროვებენ თაფლს არც თხის ფხელიდან, არც სამეურადან და არც წუწნელადან.

ტასო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყვინჩილა და ფისო

(ზღაპარი)

ერთხელ ყვინჩილა და ფისო
დამეგობრდენ, დაძმობილდენ;
ცივ წყაროთი ერთმანეთის
მუდამ სადღეგრძელოს სცლიდენ.
მათ უსოძო სისარულსა
არა ჰქონდა დასასრული,
სიყვარულით გაეერთეს
როგორც გული, ისე სული.
ცოცხმ თავის ერთგულ ძმობილს
ერთხელ ასე დაუბარა:
მე საქმე მაქვს, მიეალ სხვაგან,
მოვბრუნდები ისევ ჩქარა.
და სანამდის მოვიდოდე
ჩემო კარგო ბოლო ჭრელა,
კარში ფეხი არ გამოდგა,
თორემ ბოგიტაცებს მელა.
უთხრა ეს და ფრთხილი კატა
გზას გაუდგა ნელა-ნელა,
ძელიამ კი ქოხისაკენ
თავ-კისერი წაიგძელა.
— გამარჯობა ფრთებ დაბზენილს,
ეიულიეოს ხძა-ბოხიანსა,
თ.ავისუფლათ ბოსასლკარეს,
კოსტა ალიზ ქოხიანსა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

რატომ კარში არ გამოსვალ,
სახლში მარტო ვიდას ელი?
გამობრძანდი შენთვის მსათ მაქვს
აქ საჯშელი გემრიელი.
გადმოფრინდი შენებურათ
ულ-ურარარავ, ცქრიალითა,
და გაგსაინე ხორბლეული
კუჭისაკენ სრიალითა.
ტკბილ სიტყვებით მოლიკლიკეს
ეურადღება მიაქცია;
გადხედა, — სტაცა ჰირი
და ტეისაკენ გაქცია.
— ძმაო ფისო, მომეშველე,
გამაცა, გამაცხელა,
ვერ გადურჩი სიმაცდურეს,
მიმაქანებს ტეისკენ ელა.
რა შეესმა — გამოქანდა
წუთიც კი არ დაასანა,
წაართვა, და გზას გაუდგა
რაკი სახლში მოიყვანა.
მხოლოთ უთხრა: — ორს მივდივარ,
ვინძლო აღარ მოკატეუოს,
ეურადღებას ნუ მიაქცევ
გინდ იჩხავლოს, გინდ იწკმუოს.
ელია კვლაკ მოცუნცულდა
ფეხ-აკრეფით, განა რბენით
და შესძახა უვინჩილასა
ისევ ისე ტკბილის ენით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გამარჯობა ქათამთ მეფეგ,
ელ-დაბაბაგ, მშვენიერო,
სახლში მარტო რასა ზიხარ,
რატომ გარეთ არ იმხერო.

შეხე, შეხე, ამ შარა გზას,
გადმოავლე ერთი თვალი,
უჭ! რავდენი დაჭბნევია
ვიდაც საწყალს აქ მარცვალი.

გადმოფრინდი, ფრთა ლამაზო,
დრო ცოტახნით ჩაიხელე,
ნუ დასტოვებ საკენკს ოხრათ
ეელი ჩაიკემრიელე.

კვლავ მოტეუვდა უბედური
ფანჯარაში გადინედა;
ეცა მელა, ეკინჩილამაც
დაიკივლა ზედი-ზედა,

მაგრამ ახლა „მ-ეშველის“ ხმა
ფისოს ვეღარ მიაწვდინა,
გასუნთქულს და გაგუდულსა
მელამ ტაბილათ მოულხინ.

შიო მღვიმელი.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვაი ჯკუისაგან.

ამამ თავის საყვარელ შვილებს საესეირნოთ და თავ შესაქცევათ ვირი უყიდა.

პატარები მას თავს ევლებოდენ, აბალახებდენ, სხვა და სხვა ნაირ სასუქ საჭმელებს უმზადებდენ, ფერადი ჩითის ნაჭრებით რთავდენ, ხოლო დღეში ერთ-ორ საათს გაისეირნებდენ მახლობელ მიდამო-ტყე-ველებისკენ, სადაც მისვე მოსართაცათ ლამაზ ფოთოლ-უვავილებს აგროვებდენ.

დიდი კამათის შემდეგ პატარა პატრონებმა მას სასიყვარულო სახელათ კოკი დაარქვეს.

სრულ განცხრომაში იყო ჩვენი კოკი. მის ბედს ძაღლი არ დაჰყეოდა, ბევრი მისი მონათესავე ვირები შენატროდენ, მაგრამ მას თავისი ხვედრი მაინც და მაინც არ აკმაყოფილებდა.

— რა ბედნიერი ვიქნები, რომ ჩემი პატარა მფლობელების გასეირნებას აყიცილებდე თავიდან?!— გაუელვა მას თავში, როცა მისმა მალსაზმა პატრონებმა მოკალული ჭურჭლით წყალი და საჭმელი შემოუტანეს.

ერთ უქმე დღეს, როცა მისმა პატარა პატრონებმა ჩვეულებრივზე მეტი არბეინეს, ჩვენი ვირი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტათ დაღონებული, თავის სვეტ-ბედზე ფიქრებით იყო გართული.

— მოდი ასე მოვიქცევი: თავს მოვიაცათმეოფებ; კარგ სიტყვებს რომ მომიტანენ—ვეტამ და როცა ზედ შემაჯდება ვინმე, მაშინათვე ბიწაზე გავგორდები... მაშინ, როგორც ავათმეოფს, ხომ უფრო მეტ ჰატივს ცემენ!..—იფიქრა მან და ამ გადაწყვეტილებას დადგა.

მეორე დღეს, როცა მის ჰატარა მეულობელებმა მხიარულათ შემოირბინეს მის ეფავილ—ფოთლებით გაკეკლუცებულ ბინაში, ის ეურჩამოერილი და სასე მთვლემაკი დასვდა მათ.

— შესეთ, მგონია ჩვენი ლამაზი კოკი ავათ გამხდარა! —წამოიძახა მის დანასვისთანავე ერთ-ერთმა.

— აქამდის როგორ ეურ-ცქვეტით და მხიარულათ გვხდებოდა ხოლმე...

— შესეთ, რავა დაღონებულა!..

— ჩქარა ბაბას უთხრათ, ექიმი მოვაეგაინოთ, თორემ ცოდვაა ჩვენი კოკი!

— ეეურეთ, მგონია თვალებიდან ცრემლი გადმოსდის... კოკი ტირის...

ერთობ მიაძახეს სხვებმაც. ამ დროს მამაც შემოვიდა. მას მაშინათვე უთხრეს კოკის ავათმეოფობა.

— ბაბა, ჩქარა ექიმი მოვიეგანოთ, თორემ შესედე როგორ ტირის კოკი... ცოდვაა—უთხრა მამას გულაჩვილებულმა ჰატარა ლეომ და თვალები აეცრემლიანდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჰა, თქვე ცულლუტებო! ხომ სედავთ ნამეტანი გაგირჯიათ თქვენი კოკი! ცოტა შეასვენეთ და ძალე მობრუნდება. მე კი ახლავე ბეითალს*) მოვიყვან!— სთქვა მამამ და მართლაც ძალე ბეითალი მოიყვანა. ბეითალმა ასედ-დასედ ვირს, რომ ვერაფერი ავათ-მოფობა ვერ მოუნახა, ასეთი დარიგება მისცა მის პოეკარულ გულშემატკივარ ჰატრონებს:

— როგორც ეტეობა, ეს ვირი მომეტებული გასვედვნისაგან უნდა იყოს დასუსტებული. კარგი სა-ჭმელები აჭამეთ, წმინდა წყალი ასვეთ, თივას არა-ფერი ეცხოს ისე აჭამეთ, თბილათ იყოლიეთ და მა-ლე კარგათ შეიქნებაო. მის დარიგებას კიდეც გადა-აჭარბეს ჩვენმა ჰატარებმა: ვითომ და ავათმყოფ კო-კის ისინი გაორკეცებული მზრუნველობით ეკიდებო-დენ. ასე გასინჯეო, ჰატარა ლეო მას ყოველ დღეს ხუთ-ექვს კაშეტსაც კი უდებდა ჰირში.

— მთელ ჩემ ჯინში არ მოინახება ჩემ-სთანა ჭკვიანი ვირი. რა უჭკუოა ის, ვინც ამტკიცებს ეველა ვირი სულელიაო! რას იტყვის ის ახლა, რო-ცა ჩემს გონიერ ოხერხებას დაინახავს? ხომ ჩაუ-ვარდება ენა?!—ამაყად ფიქრობდა სისარულის ალ-მურში გახვეული ჩვენი ვირი.

თუმცა ამასობაში ნახევარი თვე გავიდა, მაგრამ ვირი გამოკეთებას არ აპირებდა: როგორც კი დაადგა-მდენ უნაგირს, მაშინათვე მაწასედ გაიშლართებოდა და საშინელ ყროყინს მორთავდა.

---

*) ბეითალი— პირუტყვების ექიმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის მოჭლაზე ჰატარეებს თანდა თან უცრუშდებოდათ გული.

გულუბრუვილო ჰატარა ლეომ ერთ დღეს ასეთი კითხვით მიმართა ალმას:

— ბაბა, ვირი ავათ რომ გახდება ძალიან სუქდება?—

— რისთვის მკითხავ ამას, ჩემო ჩიტუნია?

— რისთვის და ავათ რომ გახდა კოკი მასაქეთ სულ სუქდება რაცდა!—მიუგო ლეომ.

ბაბამ იფიქრა, რადაც უჩინარი ავათმყოფობა სჭირს ამ ვირსო და ეზოდან გააგდო. მის მაგივრათ მან შვილებს სხვა ვირი უყიდა.

ჩვენი კოკი ერთმა მებაღემ მიისაკუთრა. ის ხან წუალს აზიდვინებდა და ხან ხილეულობას—მორეულ ქალაქში. როცა ლოტას წაიბორძიკებდა, მებაღე უმოწყალოთ სცემდა და მისი წინანდელი ხერხი აქ ადარ გამოადგებოდა... ახლა კი მისვდა ვირი თავის შეცდომას, მაგრამ გვიანდა იყო.

არ. ფანცულაია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ძ ა ღ ლ ე ბ ი.

(იგავ-არაკი)

ამაზი დილა გათენდა,
მკვირცხლი და სასამურია,
გლეხი უანისკენ მიჩქარის,
მას უკან მისდევს მურია.
უცებ გაჩერდა მურია,
ერთს ეზოს უწყო ეურება,
და რა ისილა იქ ძაღლი,
თავ მსხვილი და დიდ-ეურაი.

გაჭკურცხლა, ღობეს მიჭვარდა
ეეფით და ებილთა ღრჭენითა,
ძაღლს საბრძოლველათ იწვევდა,
ემუქრებოდა ებენითა.

ისიც მოვარდა ღობესთან,
ასტეხეს აეალ-ძაეალი,
თლათ აურუებდა მთა და ბარს
იმათი ეეფა-ეეილი.

იგი ზიესიდან, ეს გზიდან,
ერთი მეორეს აწედება,. .

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გლეხი უფერებს და ხედავს
მათი ღაფლავი არ წუდება.
სთქვა: „მოდი ერთი, ხერხს ვიხმარ,
არც დაძიჯდება მეირიო,
ჩასვა მურია ეზოში,
იბრძოლეთ, თუ ხართ გმირიო!!...
მაგრამ-რას ხედავს!!! გაშეშდენ,
ამოიძუეს კუდია,
მოშორდენ ერთი მეორეს
გმირობა განამრუდია...

არ მსურს მხილების ისრითა
დამრწეთ გულგანაგმირები,
მკითხველო, ჩვენში ამგვარი
ცოტაა განა გმირები?!!

სიტყვით ხლვას კადაბუგავენ,
მტრებსაც უთვლიან მუქარას,
თუ სიტყვა საქმეს არ ითხოვს,
სცემენ ბუკსა და ნაღარას.

მაგრამ თუ ჯერი საქმეზე
მოულოდნელათ მიდგება,
მაშინ კუდ ამოძუებით
ეველა განგანზე გადგება.

ი. სიხარულიძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაუმარჯოს საფრანგეთს!

მოთხრობა მარსელისა

(ფრანგულით)

ჟაკის გამგზავრება.

ადი, ჩემო ბატარავ, ღმერთი იყოს შენი მფარველი. უთხრა მოხუცებულმა ბებიამ და თავის აკანკალებული ხელები მოჭიდა შვილიშვილის ქერა თავს, აკოცა რამდენჯერმე შუბლზე, თანაც დაბალი ხმით გულმხურვალე ლოცვა წაიკითხა.

ბაგში გასწორდა წელში და ისე გაუდგა გზას. მის თვალებიდან სითამამის შუქი გამოკრთოდა, მას ცალ ხელში ეჭირა ცხვირსახოცი, რომელშიაც ბებიამ საგზალი გამოუკრა და მეორე ხელში ჯოხი ეკავა.

ჟაკი რომ მიუახლოვდა ტყეს მოტრიალდა თავისი ბებიის ბატარა სახლისაკენ. ბებია ისევ კარებ წინ იდგა და თვალს არ აშორებდა თავის მეირფას შვილიშვილს. მაშინ ჟაკმა ბირს დასდო თავისი გამოკრული, ქუდს ხელი სტაცა და დაიწყო მითი ქნევა. მარჯვენა ხელით კი აღგზნებულ კოცნას უგზავნიდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავის ბებიას. ბებიაც ალერსით უბრუნებდა კოცნას.

მერე ჰატარა მგზავრმა დაავლო ხელი თავის გამიკრულს და უშიშრათ გაძვრა ტუეში.

ტუეში მიმავალი.

გაცსარებული ომი იყო. ომის ყოველ დღიურ საშინელებას ზამთრის სუსხიც ემატებოდა. ჟაკი დეილავდა თვალ წინ რომ წამოუდგა რა განსაცდელიც მოელოდა.

გერმანელებს დაეკავებინათ მართლაკ მთელი აქეთი მხარე და გაბრაზებულნი იყვენ, რომ ამოდენა წინაღმდეგობას უწევდენ იქ, სადაც თავიანთ თავებს უკვე ბატონებათ სთვლიდენ.

ცაც თიოქოს თანაუგრძნობდა ჰატარა მოგზაურს. ციცი წვრილი თოვლი სალიჩასაკით გადაჭკრდა მინდვრებს და ფარავდა მის ნაფეხურს. ტუე, დაფარული თოვლით, უფრო ურუ და გაუვლელი ეჩვენებოდა შაგრამ არც ტეის სიბნელე და არც მისი სისქე არ აშინებდა ბავშს. მან უშიშრათ დატოვა თავისი ბებია, რომ წასულიყო ელზასში თავისი ძვირფასი დედის საანასავათ, რომელიც გერმანელების ხელში განსაცდელში იქნებოდა, მას რამდენჯერმე უშოგზაურნია აქეთ მხარეს თავის ძმის სიცოცხლეში, ისე, რომ ამ ტეუს კარგათ იცნობდა, რაც უნდა მიეარდნილი გზები და ბილიკები ეოფილიყო, მისთვის ადვილი გასავლელი იყო და ამაცათ მიისწრაფებოდა წინ. ის მხოლოთ ერთი აზრით იყო გამსჭვალული, რომ შესაძლოა ახლოა-ახლო გერმანელების ჯარი დაუსჯდეს. იმის თავის დღეში

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ ენახა მათი რუსი შინელი და წვეტიანი ქუდები. შესაძლებელი იყო ყოველ ფეხის გადადგმაზე შეჩვეოდა მათ. ამ აზრით შეპერობილი მისი ჰატარა გული გაორკეცებულად სცემდა.

ღამე ტყეში გატარებული.

მტრის ჯარი ეტეობოდა უნდა სულ ახლოს ყოფილიყო. ჟაკი რომ ასცდენოდა მტრის ჯარს უნდა გზა გაეგრძელებინა. ის მიბრუნდა მარცხნით და შუაგულ ტეიასკენ წავიდა. ბავში უშიშრად მიდიოდა და სულ დედის ფიქრში იყო, ახლა ის უეჭველად მოელოდა მას, მაგრამ ხოლო მეორე დღეს ნახავდა.

საღამო ჟამს დიდი ხნის სიარულის შემდეგ მოღალულმა ბავშვმა გადასწყვიტა გაეთია ღამე რომელიმე მენახშირის ქოხში. მართლაც მალე მოსმენინა ბინა ერთ დიდ მუხის ქვეშ. გამხმარი ხის ფოთლებმა მას ლოგინის მაგიერობა გაუწია. ის სიამოვნებით გაიშლართა ზედ დასასვენებლად. ჰატარა ხანს შემდეგ ჟაკს ღრმად ჩაეძინა და ძილში ოცნებობდა იმათზე, ვინც ისე ძრიელ უყვარდა.

ჟაკის საშინელი გამოღვიძება.

— ჰე, უმაწვილო, ჩქარა წამოდეგ, ჩქარა! უცხო დამასებით გამოღვიძებული ჟაკი, რომელიც ამ დროს ძილში დედაზედ ოცნებობდა, გაკვირებით ასწევს თვალებს, თითქოს იღიმება—კიდეც, ძერე ისევ ძარს ეცემა, თავის გამხმარ ფოთლების ლოგინზედ. მაგრამ მოესმის უცრო მკაცრი და ბრიყული ხმა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჰე, ემაწვილო, ჩქარა წამოდეგ, ჩქარა.

ამაგე დროს ვიდამაც მაგრათ ხელი სტაცა და ამ ხანათ სრულიად გამოდვიძებული ბავში ახელს დიდრონ, შინით ავსილ თვალებს. წინ უდგია რამოდენიმე კაცი სწორეთ იმ ტანისამოსში გამოწეობილი, რომელიც მას მსოლოთ სიზმარში მოსჩვენებია —რუს შინელში და წვეტიანი ქუდით გერმანელები.

ჟაკი გერმანელების სელშია. ბავში წამოსტა ზეზედ; ის აქეთ-იქით იცქირება. გაქცევა შეუძლებელია. ფრანგთა ბავშვების ჩვეულებრივი, გამბედავობით მან გადასწვიტა წინამდეგობა გაუწიოს მტერს.

ჟაკი ტყვეთ მიჰყავთ.

რადგან ბავშვს ვერა გააგებინეს რა რაზმის უფროსმა უბრძანა სალდათებს წაეყვანათ ჰატარა ტყვე ჩრდილოეთ ტეის მსარეს. ამ ადგილს გაშლილი მინდორი თოვლით იეო მოფენილი. აქედან შავ წერტილათ მოჩანდა გერმანელთა ჯარის ბანაკი. როდესაც ესენი მიუახლოვდენ ბანაკს, იქიდან გამოვიდა ერთი აფიცერი და მოჰყვენ რაღაზედაც ისა და რაზმის უფროსი გერმანულათ ლაპარაკს. ჟაკი ეურს უგდებდა, მაგრამ ვერა გაეგო რა. ნეტავი რა უნდათ მისგან? მერე აფიცრის ბრძანებით სალდათებმა დასტოვეს ბავშვი აფიცერთან და მოშორდენ.

უცერივ მოესმა ბავშვს მშობლიურ ენაზე ლაპარაკი.

— რა გქვიან შენ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჟაკი მალე, უპასუხა ტუვემ ამაოთ და თამაშათ შესედა.

— რამდენი წლისა სარ?

— თუთხმეტისა.

— საიდან მოდისარ, ან საით მიდისარ?

— მე ბებიასაგან მოვდივარ და დედასთან მივდივარ.

— რა სელობისაა მამაშენი?

ამ სიტუვების გაგონებაზე ჟაკის სასუს ალმური აეკიდა, ცრემლები თვალებზე მოადგა, მერე თავი შეიკავა და მამაცურათ, მაგრამ აკანკალებულის ხმით უპასუხა:

— მამა ჩემი გარდაიცვალა გერმანელების ტუვიით განგმირული.

აფიცერმა ენაზე იკბინა, ბოლოს განაგრძო გამოკითხვა:

— სადაური სარ?

— ელზასიელი ვარ.

— იცნობ ამ მხარეს, სადაც ახლა ვართ?

— რაში გესაჭიროებათ?

და ბავში გულ სელ დაკრეფილი თამამათ შესცქერია აფიცერს. ის ვერ მიმხვდარა თუ რათ ჰკითხავენ მას და ფრთხილათ უჭირავს თავი.

— შენ იცნობ ამ მხარეს, სადაც ახლა ჩვენა ვართ? გულ მოსულაო ჰკითხავს სელ—ახლათ აფიცერი.

— მთელი ათი წელიწადია რაც აქა ვცხოვრობ და ყველა ჭატარა ბილიკებიც კი ვიცი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანელი სისარულით ვერ იკავებდა თავს, და ხელების ფშვნეტით წამოიძახა:

— ძალიან კარგი! შენ იქნები ჩვენი გზის მაჩვენებელი.

ამ სიტყვებით გააგებინა ქაკს, თუ როგორ ისარგებლებდენ იმის ტყვეობით, გერმანელთა ჯარმა გზა დაკარგა დიდი თოვლის გამო და არ იცოდა როგორ ეშველათ თავისთვის, ეშინოდათ ჩასაფრულ ფრანგების ხელში არ ჩავარდნილიყვენ. აფიცერს იმედი მიეცა, რომ მას და მის ჯარს ქაკი გაუძღვება წინ. ბავშვი მისდა, რასაც მოელოდენ მისგან. იმათ ეგონათ, რომ ქაკი უდალატებს თავის სამშობლოს. თუ ამას მოსთსოვენ, მაშინ გაიკვეთენ თუ რა არის ჭატარა ელსასიელი ფრანგი.

ქაკი თამამათ ელოდა, რომ მას ხელ-ახლათ მოუშვებოდენ გამოკითხვას.

გამოკითხვას განაგრძობენ.

— ეხა ენახოთ, დაიწყო აფიცერმა, გსურს თუ არა იყო შენ ჩვენი გზის მაჩვენებელი.

— განა თქვენ ისე ჭატარები ხართ, რომ თქვენით ვერ გაიგნებთ გზას? დაცინვის კილოთი უთხრა ქაკმა.

— ფრთხილათ. მიუგო მოთმინებიდან გამოსულმა აფიცერმა,—შენ სასანური გაგისდება ეგ სიტყვები.

— მოთმინეთ, უთხრა გაბედულათ ბავშვმა,— მე შემიძლიან გასწავლოთ გზა მხოლოთ გერმანიისკენ მიმავალი..

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ხელ ახლათ გაფრთხილებ! უთხრა გულ-მოსულმა აფიცერმა ბუზღუნით, რომ ბავშვი ამდენს უბედავდა მას. მაგრამ ბავშვმა მოასწრო დამშვიდებული კილოთი დაემთავრებინა:

—ჩვენებთან მისასვლელია რომ გზა გიჩვენოთ — ამის იმედი ტუილათ ნუ გექნებათ.

— კარგი, უთხრა აფიცერმა და ახლა სხვანაირათ მიუდგა ბავშვს:—მე არ დაგიშლი დედიშენის ნახვას, მაგრამ ერთ რამეს გკითხავ და უნდა მითხრა.

— თუ შევიძლებ, რატომაც, მიუგო ჰატარა ტუვემ.

— თუ მოინდომებ—არ გაგიჭირდება. მერე, ერთი წუთის სიჩუმის შემდეგ თვალი თვალში გაუყარა ბავშს და ისე ჰკითხა.

— რა მანძილზეა აქედან ფრანგების ჯარი?

— მე მაგისი არა ვიცი რა!

— სტუი!

— გეუბნებით, არ ვიცი, და რომ ვიცოდე, მაინაც არ გეტეოდით.

— მაშ ეველა ჩემ კითხვებზე ჰასუხს არ მაძლევთ?

— ბატონო აფიცერო, თქვენ გავიწუდებათ რომ მე ფრანგი ვარ და თქვენ კითხვაზე ჰასუხის მოცემა ჩემი საშშობლოს დალატი იქნება.

— შენც გავიწუდება, რომ ჩემ ხელში ხარ და ძე დროს ტუილათ არ დავკარგავ.

მერე ჰირი-ჰირს მიუახლოვა ქაკს და უთხრა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— იცი რას უშვრებიან იმ სამსჯელო ტუჩებს, რომელნიც ურჩნი არიან?

ჟაკი უცბათ გასწორდა, მედიდური შესედულობა მიიღო და ზიზღით, მაგრამ გაბედულათ წამოიძახა:

— მაგისთანებს უთუოთ დასვრეტენ.

— იცოდე, გაუკითხავათ. მიუგო აფიცერმა, აღელვებულმა ასეთი უმაგალითო გაბედულობით. ქერე დაუმატა:

— გაძლევ მოსაფიქრებლათ მეოთხედ საათს!

ჟაკის გადაწყვეტილება.

ჟაკს თვალ წინ წარძოუდგა ეველა მისი სიყვარელი მახლობელნი: დედა, რომელიც უნდა მეორე დღეს ენახა, თავისი ბებია, რომელიც წინა დღით ისე მხურვალეთ ჭკუცნიდა. ის სთქ ამათ ვეღარ ნახავდა, თუ არას ეტყოდა აფიცერს. ის სახლ კარი, სადაც მან თავისი უმაწვილობა გაატარა, ის შინაური ცხოველები, რომლებთან ისე სალისიანათ თამაშობდა ეზოში—ამას სთქ აღარას ნახავდა, თუ განაგრძობდა სიჩუმეს. ეს შავი ფიქრები უსივებდა მას გულს. მიუხედავათ ამ მწუხარებისა ის აღარ უცდიდა მეოთხედ საათს. გულ ხელ დაკრეფილი მიუბრუნდა აფიცერს და ოდნავ აღელვებულმა უთხრა:

— ჭქენით რაც გწადიათ! დაჩქარეთ, ბატონო. აფიცერო! შემდეგ დაუმატა მწარე ღიმილით:

— ხვალ დედის ნახვას ვფიქრობდი, და ეხლაკი, ამ წუთში მამასთან გავემგზავრები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნამდვილი სიძძიმაცე ეოველთვის პატივის ცემის გრძნობას იწვევს, იმათშიაც კი, ვისაც გული გაქვავებული აქვთ. ჟაკის გმირულმა საქციელმა საშინლათ ააშფოთა აფიცერი და თავისდა უნებურათ ცდილობდა დაეხსნა პატარა ტევე.

— იფიქრე შენ დედაზე, ნუ გაიმეტებ თავს, უთხრა მან ტკბილის ხმით ჟაკს.

მვირფასი დედის გახსენებაზე ემაწვილს თითქოს ეელში წაუჭირეს, მაგრამ მან შეიკავა ცრემლები.

— დედა ჩემი ფრანგის ქალია, ბატონო აფიცერო, და ფრანგის ქალები სილაჩრეს შვილებს არ აპატიებენ.

— უკანასკნელათ გკითხამ, მაშ არა გსურს ჩვენი ბრძანება ასრულო.

— არა.

— არა გსურს გაგვიძღვე წინა?

— არა, არა და არა! გარკვევით წარმოსთქვა ჟაკმა და თავისი პატარა ფესები დაბაბკუნა თოფლისაგან გამაგრებულ მიწაზედ.

მაშინ კი ამ ემაწვილის ჯიუტობით მოთმინებიდან გამოსულმა აფიცერმა ბაცრათ დაიღრიალა: წაიეკვანეთ ახლავე და დახვრიტეთ!

და ჟაკი სალდათებით გარშემორტეული წაიეკვანეს იქ, სადაც სასჯელი მოელოდა.

ჟაკის გმირული სიკვდილი.

აქ სასჯელისთვის უკეე ეველაფერი მზათ დაუსვდათ. სალდათები ჩამწკრივებულნი იეკენ თოფებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორ სამ რიგათ. უფროსმა აფიცერმა, რომელიც ეკა-საკუთრებულ ჰატიოვს სცემდა ამ გვარ გმირობას, მოინდომა ეჩვენებინა თავის სალდათებისთვის თუ სადამდის მიაღწევს თუთხმეტი წლის ბავშვის თავგანწირულობა სამშობლოსათვის. იგი უსხნის თავის სალდათებს ამ ჰატარა წამებულის საქციელს და თან ცდილობს მოარბილოს ქაკის ჯიუტობა.

— დროა კიდევ, მოინანიე! ეუბნება ის სვეტზე მიკრულ ქაკს, რომელსაც მიუსვამდა მისი თხოვნისა რომ თვალები არ აეხვიათ, მაინც აუსვიეს, რომ სიკვდილის სანახაობა დაეფარათ მისთვის. ჰასუხის ძაგივრათ ჩამოკარდა სამინელი სიჩუმე. ამ დროს, ამ ტუის სიდრმეში მოისმა გარკვეული ამოძახილი· ეს იუო ახალგაზრდა ხმა გმირი ემაწვილისა:

„გაუმარჯოს საფრანგეთსო!“

ჰატარა გმირის ჰასუხათ მოისმა რამდენიმე თოფის გრიალი.

ქაკმა მალე უჩვენა გერმანელებს მაგალითი თუ როგორი გმირული სიკვდილით კვდება საფრანგეთის სალდათის შვილი.

ერ. კიწმარიაშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ი ლ ი კ ო.

ორჯომის ხეობაში ერთი საუკეთესო საადგილო ადგილია „სუმბათოვა“. ორივ მხრივ ამართულია მშვენიერი ნაძვით სავსე მთა-გორაკები, რომლის ძირს გრესილათ ჩაურბის ვიწრო მდინარე და უერთდება მტკვარს. რკინის გზის სადგურს და ათიოდ აგარაკს გარშემო არტია ჰატარ-პატარა სოფლები. სიმინდი, ჰური და ვენახები ამ ტეიან მთებზე სულ ცოტაა და აქაური ხალხი უმეტესათ იმითი ცხოვრობს რომ ხეტეეს სწრის და ჩამოაქვს მთებიდან. ხშირათ მისი იღბალი დამოკიდებულია უფრო იმაზე, თუ მთებზე თოვლი ბევრი იქნება და გზა ისე გაიეინება, რომ ხეები მაღლიდან ჩამოასრიალონ. მაშინ სოფელი მეტ ტიეს ჩაბარებს მთის ჰატრონს და ფულსაც რასაკვირველია მეტს იშოვის

სოფელი სოსია სწორეთ ამ საქმეს ადგა და მარჯვეთაც მიდიოდა მისი საქმე. მაგრამ ერთხელ ზამთრის ჰირას მაღლიდან რომ დაუშვა მოჯრილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხეები უცაბედათ ფეხი ერთ ხეს მოედო, ხეებთან ერთათ ჩამოცურდა ძირს და ლუკმა ლუკმათ დაიჩეხა.

მის ცოლს ბარბარეს მკვდარი ქმარი რომ კარს მიაუვნეს ვერ იცნო და დიდხანს არ იჯერებდა თავის უბედურებას. დარჩა საბრალო ბარბარე წვრილშვილით ულუკმო ჰუროთ. წელზე ფეხს იდგამდა, მუშაობით შუაზე წედებოდა, თუცა სოფელიც მუდამ შველოდა, მაგრამ მარტო ხელა როგორ გამოჰკვებდა ოჯახს. ხშირათ სასოწარკვეთილებას ემლეოდა, ლამობდა მტკვარში გადავარდნას, მაგრამ ღვთის შიშით ითმენდა უველაფერს.

გაზაფხულზე, ერთ საღამოს, მასთან შემოვიდა სოსიას კარგი ნაცნობი ზურაბი და ბარბარეს უთხრა:—მე მინდა ერთი კაი ამბავი გითხრა და თუ დამიჯერებ ვიცი რომ სახეირო იქნება. მოდი შენი ილიკო მივცეთ მეგარაკე დენერლის ოჯახში უფროს მოსამსახურეს სტეფანეს. სახლში მგონი ბევრს არას გააკეთებინებენ, ჯერ პატარაა. ჩაცმ-დახურავენ, აჭმევ-ასმევენ, ხელზე სამსახურს ასწავლიან. რუსულს სომ შეისწავლის კარგათ. ზამთარშიაც იქ იქნება, სტეფანეს ცოლი ეურს უგდებს, უშვილონი არიან. იქნება იმ ცოლ-ქმარს თავი ისე შეაყვაროს რომ იშვილონ კიდეც. ისინი დავითანხმე. შენ რას იტყვი ამაზე!

ბარბარემ ცრემლები გადმოყარა და შეწუხებულათ წამოიძახა:

— ვერა, ვერ შეველევი ჩემ ილიკოს. ეგ რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალწინ მიდგია, თითქოს სოსია ჩემთან იოსს და მამშნეებდეს.

მერე გადაჭრით წამოიძახა:

— როგორ თუ იშვილოს, განა შვილი დასათ-ბობია დედისაგან! არა, ზურაბ, მაგისთანა სიკეთე არ მინდა და ისევ ტირილს მოჰყვა.

ზურაბი გამოვიდა სახლიდან ბუტბუტით: მოდი და ეხლა ვისმეს სიკეთე უყავით.

ბარბარე დიდსანს ფიქრში იყო, მერე გადასწყვეტა ილიკოს მოლაპარაკებოდა. ეძაწვილი შემოვიდა ქოხში აკიდებული ჩინჩხვრების კონით, დაყარა ბირს, მიეიდა კიდობანთან და რომ ნახა მხოლოთ გამხმარი ჭადის ნატეხი ხმა ამოუღებლივ ეს ნატეხი გაუყო და-ძმებს და თვითონ მიეჯდა კუთხეში.

ამის მნახველმა ბარბარემ ვედარ მოითმინა და შვილს უთხრა:

— იცი ღენერლის აგარაკი სად არი, გინდა იმათთან მიგაბარო. ხელზე მოსამსახურეთ? ეშიერი არ იქნები, რუსულს ისწავლი, ზამთარ-ზაფხულ იმ მშვენიერ სახლში იცხოვრებ, რას იტყვი?

— ო, დედა, რა კარგი იქნება! რომ იცოდე სახლი რა ბღიდრულათ აქვთ მოწყობილი. ერთხელ კვერცხები მივიტანე გასაყიდათ და გამოსვლა ადარ მინდოდა! ხეტავი კი მართლა ამიეკანონ.

ილიკოს მკვირცხლი თვალები სიხარულით ბრწყვიალებდენ გალეული, გამხდარი ტანი უთრთოდა, ფერმკრთალ სახეზე ღიმილი უთამაშებდა, ცნობებმა გაიტაცეს ბავში, ის თითქოს ამ ქვეყნათ ადარ იყო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედა აკანკალდა, შეუუსდა, მაგრამ თავი შეიკავა და მტკიცეთ უთხრა:

— ჩვენი ზურაბი იყო, მითხრა ილიკოს აიყვანენო, იმათ რომ სტეფანე ჭეავთ იქნება იშვილოს კიდეცაო. რას იტყვი?

ბარბარე თრთოდა, ცდილობდა თავისი ღელვა არ შეემჩნევინა შვილისათვის და შიგ თვალებში შესცქეროდა.

ილიკო კი ისევ ისე გატაცებული ხმა მაღლა ოცნებობდა, თავის თავი მიაჩნდა გაგონილ ზღაპრების გმირათ.

— აბა მაშინ მნახონ როგორი ბიჭი ვიქნები. დედა ჩემს დიბა-ატლასში მოკერთამ, დაუნა შუშას, რომელიც მუდამ დედასთან იქნება ჩემ მაგიერათ—სულ წითელ-ყვითელ კაბებს ჩავაცმევ.

ბარბარე შვილს აშტერდებოდა და ვერარა ეწაშეებინარა.

— მაშ წადი შვილო და უთხარ ზურაბს მნახოს.

დედას გული ეთუთქებოდა, რომ შვილი ასე ადვილათ თმობს მას, მაგრამ ილიკოს საბედნიეროთ მოთმინება არჩია.

* * *

გავიდა ორი წელიწადი. მოჩიტდა ილიკო. მან ადვილათ შეითვისა ახალი ცხოვრება: მთელი დღე გაისმოდა:—ილიკო, წადი, ფოსტა მოუტანე დენერალს!—ილიკო, წადი დუქანში და ნავთი იყიდე!—ჩქარა ჰური, ილიკო და სხვა.

ახლა რუსული ქართულზე ნაკლებათ არ იცო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და. მაგრამ ხელსაც უმართავდენ, რომ ქართულიც არ დავიწუებოდა. რადგან ამ აგარაკის გარშემო ქართველები ცხოვრობდენ და იმათი ენა სჭირდებოდათ, მეტადრე სანოვაგის ყიდვის დროს. ილიკო დედას თან-და-თან ეჩვეოთათ ხედავდა, შორს იყო მისგან. არც ხელცარიელი უნდოდა მისვლა, აგარაკიდანაც რას გაატანდენ, მოპარვით კი არაფერს ეპარავდა.

მთელი დღე ილიკო ისე გართული იყო საქმეებში, რომ თავის სოფლის ამსანაგ-ბიჭებს სრულებით მოსწყდა, აღარც მოსწონდა იგინი. თავი მედიდურათ ეჭირა, თითქოს აღარც კი კადრულობდა იმათ.

ამ დროს, მათ სახლის კარებ წინ, სოფელში ეაშენეს სკოლა და ეგვლა მისი ტოლები მიებარნენ სასწავლებლათ. ემწვილები დაინახავდენ თუ არა შორიდან ილიკოს ძის გასაჯავრებლათ კაიმახოდეენ ხმა—ძაღლა ქართულ ლექსებს.

ილიკოს ეწუინებოდა, წარბს შეიკრავდა, ეოიდუშებოდა, მაგრამ ბიჭებთან გეკერდით გაეგლის დროს დაუსტვენდა თავის დიდ ძაღლს, რომლის მსოფლოთ დანახვაზე, ბიჭები თავზარდაცემულნი გარბოდენ.

ილიკო წინანდელივით აგარაკში თავ აუღებლივ მუშაობდა, მაგრამ თან და თან ეტეობოდა რადაც ნაღველი აწუხებდა, ერთობ ჩამოხმა, გაუვითლდა. ხამთარში საქმე ცოტა ჭონდა და მოუხშირა სახლში სიარული, ჩუმ ჩუმათ ქართულ წიგნებს კითხულობდა. აგარაკში დედობილს, სტეფანეს ცოლს, არ ძოსწონდა სახლიდან მისი სშირ-ხშირათ გასვლა, მაგრამ არას ეუბნებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილიკოს და შუშა ხამთრობით სკოლაში დაიარებოდა, მასწავლებელმა მოუწოო. და ილიკო ტუობილობდა იმისაგან სკოლის ამბებს. სხვათა შორის მან შეიტეო რომ სკოლაში შობა დღეს აპირებდენ, საღამოს გამართვას. კარგი მკითხველნი ადრევე ამორჩეულ ლექსებს იზეპირებდენ, რომ „საღამოს“ ხმა ამაღლა წაეკითხათ დამსწრე ხალხის წინ.

ამ ახალმა ამბავმა ძლიერ დაიფიქრა ემაწვილი. დიდ ხანს ღელავდა, მერე თითქოს რაღაც გადაწყვეტილებას დაადგა. ხშირათ ფურცლავდა წიგნებს და ეკითხებოდა შუშას თუ რომელი მაგირდი რას წაიკითხავსო.

რამდენიც უფრო ასლოვდებოდა შობა დღე, იმდენათ ილიკო მოუსვენრობას კრძნობდა და ღელავდა. აგარაკაში დედობილი ძალიან სწუხდა, ვერ გაეგო ბავშის მოუსვენრობის მიზეზი და მის გულის მოსაგებათ შუშას და მის დედას საჩუქრებს უგზავნიდა.

* * *

საღამო ჟამია, გარეთ დიდი თოვლი ძევს. სასწავლებლის ოთახები ნაძვის ტოტებით მორთულია. ლექსების წასაკითხათ მაღლობ ადგილს მართავენ. მოწვეულ ხალხისთვის დასაჯდომ ადგილებს აწყობენ. გარედან ფეხით შემოტანილ თოვლს ემაწვილები სწრაფულ სწმენდენ. თუთხმეტიოდე უფროსი მაგირდები ქალი და ვაჟი გამგებლებათ არიან ამორჩეულნი. თხილი, ვაშლი და სხვა ხილი ემაწვილების სათავაზებლათ მზადდება, ეველაზე ადრე მოძღვრლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის გუნდი მოვიდა, ლეკქსების მეითხველნიც გამო-ჩნდენ. ორთიან, კანკალებენ, მეტადრე ქალები. მასწავლებლებს ეხვევიან, გამხნევებას ელიან. ხალხი ნელა-ნელა იკრიბება, ზოგი თოვლში ამოსვრილი მოდის. აი, ოთახებიც გაანთეს. მალე დაიწყებენ, მოისმის ტაშის ცემა... უცებ ატუდა ჩოჩქოლი, ერთი მეორეს ეუბნება:

— იცი, ილიკომ ერთი ტომარა თხილი და ჰანტა მოიტანა, თურმე სულ თავისი შეგროვილია დღეგანდელი დღისთვის.

ილიკოს იღლიაში კიდევ რაღაც შეკრული აქვს, კუთხეში ჩუმათ ხსნის: ახალი ჩუსტებია, ახალი ხალათია, შუშა შველის, რთავს ძმას და კი არ იცის რათ ირთვება ილიკო. ემაწვილი რაღაც ქაღალდს ალაგს, ზედ დაწერილია, რაღასაც შიშობს, თვალებს აქეთ იქით აფაციცებს.

ახადეს ფარდა, გამოვიდენ ორი გოგონები, იგავს კითხულობენ, ერთი კრავია, მეორე მგელი. მოისმის ტაშის ცემა, ვაშას ძახილი. ეხლა უნდა მეორე ემაწვილი გამოვიდეს. უცებ ატუდა ხმაურობა, ჩოჩქოლი, მოულოდნელათ გამოვიდა ილიკო და დასძახა:

მე ჰატარა ქართველი ვარ,
კავკასიის მთების შვილი
და განცხრომით სხვაგან ეოფნას
მირჩევნია აქ სიკვდილი.
ქართლ — კახეთი, იმერეთი,
გურია და სამეგრელო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეველა ჩემი სამშობლოა,
საყვარელი საქართველო.
სან თუ მტერნი აოხრებდენ
იეო მდვრელი ცრემლის ცხარის.
ბრწყინვალე დროც დასდგომია,
დრო დავითის და თამარის.
მე პატარა ქართველი ვარ,
სასელოვან ერის შვილი,
და მსურს მერგოს სასახელო
მეც სიცოცხლე და სიკვდილი.

ისეთი რისით და აღტაცებით წამოიძახა ეს ლექსი, რომ დარბაზში დიდი აურზაური ატედა, ეველა კანცვიფრდა, მასწავლებელნი არ მოელოდენ მისგან, გაშტერდენ და ხალსთან ერთათ ვაშა, ვაშას იძახოდენ. ილიკოს რამდენჯერმე გაამეორებინეს ეს ლექსი ბარბარე, რომელიც ხალხში ერია, ხმა მაღლა ქვითინს მოჰყვა, შუშა აწითლებული სხვებთან ერთათ ტაშს უკრავდა, უფროსი მასწავლებელი ალერსით გადაეხვია, ტოლ—ამხანაგები მოაწყებით კარს შემოეხვიენ.

კარგა ხანს არ დაწყნარებულა დარბაზი. მერე განაგრძეს „საღამო“...

* *
*

ილიკო არც მეორე დღეს, არც მესამე დღეს არ სჩვენებია თავის დედობილს. ბოლოს თვითონ მასწავლებელი მივიდა ღენერალის აკარაკში და მოელაპარაკა სტეფანეს. სიქმე ასე გამოაწყეს. დღეის იქით

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწავლის დროს ილიკოს უნდა სასწავლებელში ეცხო და დედასთან ეცხოვრა. ზაფხულობით კი, როცა სწავლა არ იქნებოდა, ის ისევ აგარკში იმსახურებდა თვეში ოთხ მანეთათ. ამ ცოლ-ქმარს ისე შეაყვარა თავი ილიკომ, რომ ოდონდ სულ არ მოშორებოდა უფელაფერზე დათანხმდებოდენ.

ან. წერეთლისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტუვე-მატარებელი.

ერი ფრანგის ჯარის კაცი ჩამორჩა თავის რაზმს და დიდხანს ეძალებოდენ აქა-იქ გერმანელებს. დამე რკინის გზის სადგურის მახლობლათ ხრამში ჩაწვენ და გაინაბენ. შუა-დამისას სადგურზე გერმანელების ჯარით სავსე სამხედრო მატარებელი მოვიდა. განაბულმა ფრანგის ჯარის კაცებმა ხრამიდან დაინახეს, რომ მატარებლიდან რამდენიმე უფროსი და მეშანქანე ჩამოვიდა.

ერთს ამ ფრანგის ჯარის კაცს, რომელიც მეშანქანეთ იეო ნამეოფი, უცებ რადაც აზრმა გაუელვა თავში და თავის ამხანაგს წასჩურჩულა. ორივემ ფოფსვით მიახწიეს მატარებელს და კატებივით ატოცდენ ზედ. ფრანგ-მეშანქანეე მაშინვე მატარებელი საშინელის სისწრაფით გაუშვა და იქამდის მიაქანებდა, სანამ თავისიანების ჯარს არ მიაეწია.

ბანაკებში მეოფ ფრანგის ჯარის სიხარულს საზღვარი არა ჭქონდა, როდესაც ამ ორმა მამაცმა ჯარის კაცმა მთელი მატარებელი ტუვე-გერმანელი მოიყვანეს.

კუდრაეა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რკოს ამბავი.

(ზღაპარი ს. კლდანში ჩაწერილი)

ეკვენ ერთი უშვილო ცოლი და ქმარი. ერთხელ ქმარი წავიდა ტყეში სამუშაოთ. შინ რო ბრუნდებოდა გზაში ერთი რკო იპოვნა და წამოიღო. ცოლ-ქმარმა ეს რკო შვილათ აიყვანეს. ერთხელ რკოს მამა ეანის სამკალათ წავიდა და ამბავი დაგადო, სამსრათ ჰური გამომიგზავნეო. სამსრის დრო მოვიდა, დედამ სთქვა, ვისი სელით უნდა გაუგზავნო ჰურიო. რკომ გაიგონა და უპასუხა:

—დედი მე წაუღებო.

—არა, შვილო, შენ როგორ უნდა წაუღოვო.

—ნუ გეშინიან წაუღებო.

გადაჭკიდა ვირს ჰური, აიღო სელში ჯოხი, შეუჯდა კუდ ქვეშ. რკო სცემდა ვირს და ეუბნებოდა: აცეცაცეო და როგორც იყო მივიდა სამკალში. მამამ გადმოჭსადა ვირს ჰური, რკო აიღო სელში და კოცნა დაუწყო. იმ კოცნაში რკო გაუვარდა სელიდან ნამკალში და დაეკარგა. მამამ ტირილი დაიწყო, მაგრამ რას გააწყობდა.

იორა-იორა რკომ და სამს ქურდს შეჭხვდა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

უთხრა, მეც თქვენი აძსანაგი ვიქნებიო, ქურდებმა უთხრეს: დაიკარგე აქედანაო. რკომ უთხრა--ღმერთმანი გასარგებლეთო. ქურდები დასთანხმდენ, წავიდენ. ცოტა იარეს თუ ბევრი იარეს მიეიდენ ერთ გომურთან. რკომ უთხრა აქ მოძიცადეთო, შევიდა გომურში, გამორეკა ხარები და ეგირილი დაიწეო:

ერთი ნიშა ხარია და გამოვაგდო თუ არაო.

—სუ, ბიჭო ნუ ეგირიო.

რკო კიდე ეკითხებოდა გამოვაგდო თუარაო? ქურდებს შეეშინდათ და გაიქცენ, რკომ გამორეკა ხარები და გამოიქცა. მოეწია ქურდებს და უთხრა: ეი თქვე მშიშრებო თქვენაო?

წავიდენ და მეიდენ ერთს სამზარეულოსთან. რკომ უთხრა, აქ მომიცადეთო. შევიდა და დაიწეო ეგირილი: ერთი ეურიანი ქვაბია და გამოვიტანო თუ არაო? ქურდებს შეეშინდათ და უთხრეს: სუ, შე ოჯახდასაქცევო. ეგირილზე შემოვიდა ქვაბების ჰატრონი და ძებნა დაიწეო, ვინ ეგიროდაო. მაგრამ ვერაფერი ვერ იპოვნა და წავიდა უკან. რკომ აიღო ქვაბები და წამოიღო. წავიდენ მეიდენ ერთ ხემწიფის სახლთან. რკომ უთხრა, აქ მომიცადეთო, შევიდა და დაიწეო ეგირილი, ერთი კენტი შაურიანია და გამოვიტანო თუ არაო? ქურდებს შეეშინდათ და გაიქცენ, შემოვიდა ხემწიფე, ბევრი ეძება ვინა ლაპარაკობსო, მაგრამ ვერაფინ იპოვა და წავიდა უკან. რკომ გადმოყარა ფულები და წამოვიდა, მოეწია თავის აძსანაგებს. შემდეგ დაიწეეს გაეოფა; რკომ უთხრა: მეც გამიეავითო, დაიკარგე აქედანაო, მაშ კარგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და თუ თქვენ არ განანიეთ მე ბიჭი არ ვიუოფ-
უცებ დაიუვირა, არიქა ხემწიფის ჯარი მოდისო. ქურ-
დებს შეეშინდათ, უველაფერს თავი დანებეს და გაიქ-
ცენ და რკოს დარჩა სუუველაფერი. ქვაბები გადაჭ-
კიდა ხარებს და წავიდა შინ, დედამამას ძალიან გაუ-
ხარდათ.

ელასა მელასა, ჭიქა მეკიდა ელასა, მთქმელსა
და გამგონებელსა ცხელი ხინკალი ეველასა.

ივანე წამალაშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბაბუ-ქალა.

ბებულიამ გაათავა,
გაკვეთილის მომზადება.
კიდევა ჭზის მაგიდასთან,
არ ისვენებს—არა დგება.

—

უნდა კიდევ შეამოწმოს,
ხომ არ სცდება რამეშია.
უნდა კარგათ გაიკვეთოს,
არ ჩამორჩეს ტოლებშია.

—

დაღამდა და ლოგინს დაწვა,
გულში ჩაჭვა გაკვეთილი.
ძილშიაც კი იმეორა,
კაკალივით ჩამოთვლილი.

—

უეცარს ქალას ბეჯითობა,
ხუთებს იღებს ზედი ზედა.
უნდა სწავლით გაახაროს,
საყვარელი—მამა-დედა.

გ. დ. ჭრელაშვილი.

ANDAZEBI.

ისე ვიყავ მე, როგორც ახლა შენ;
ისე განახავ შენ, როგორც ახლა მე.

—

ერთმა წუწკმა თაგვის კუდმა ასიანი წაბილწაო.

—

ტყე უყურო ნუ გგონია და მინდორი უთვალოვო.

—

ჭკუა რომ გარში დაიკარგება, მთაში უნდა ეძებოო.

GAMOCANEBI.

შავ ზღვაში ჩავალ, ამოვალ, თეთრ გზაზე დავიარები.
ჩემი ნავალი ყველასთვის, საამო სანეტარები.

—

წისქვილის კარს წაკიდებულან ჭაკი, ჭუკი და ჭიკარტი,
ყვავი გასაშველებლათ მირბის, თან მიაქვს თსვისი ნისკარტი.

(წარმოდგენილი ს. ხაბულიანისაგან)

ერთი პატარა მაღარო ოცდა თორმეტი სარითაა გამაგრებული

—

ქვეყანას გაწვდა, ჭურს არ გადასწვდა.

ČKARA GAMOCSATKMELI.

შენ კაპეიკი, მე კაპეიკი, მე თუ არ მეკაპეიკება შენ რა-ღა გეკაპეიკება.

ZMA.

მინამ გალიას ნუ იკეთებ, ვიდრე ჩიტს დაიპერდე.
საბა რიყეზე მუშაობს.
გავიდეთო ხიდზედ — უთხრა დამ ძმასა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა კ რ ო ს ტ ი ხ ი.

ქმუნვარებას მიეცემა რა სოფელსაც მოედების,
იმისაგან საქონელი, უეცარათ ბევრი კვდების;
რა შეატყობს ბეითალი, მის მოსპობას შეეცდების,
იგი მაინც თვისას იზამს, გლეხს პირუტყვი დაკლდების.

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო.

სკვირველი ძაფი. აიღეთ მარილ-წყალი, ისეთი კი რომ შიგ მეტი მარილი აღარ დნებოდეს, და დასველეთ ძაფი სამჯერ, ყოველი დასველვბის შემდეგ კარგათ გაიშრეთ კი. ამ ნაირათ მომზადებულ ძაფს მიაბით ბეჭედი და ცეცხლი წაუკიდეთ. ძაფი დაიწვის და ბეჭედი კი ჩამოვარდნის მაგიერ ისევ ეკიდება ძაფის ნაკლზედ. გასაკვირი აქ არა არის რა: ძაფის ნაკლი კი ვერ შეიმაგრებს ბეჭედს, არამედ მარილის წვრილი სვეტი და ეს მარილი კი დასველების დროს ჰქონდა ძაფს შეწოვილი.

როგორ შეიძლება? ვერცხლის ფული ან შავი ფული თეფშზედ დადეთ. ზეიდან დაასხით იმდენი წყალი, რომ ფული დაფაროს. მერე თეფშიდან ფული ისე აიღეთ რომ თითები არ დაისველოთ?

რ ე ბ უ ს ი

ეროვნული ბიბლიოთეკა



გამოცანები. მზე. ½ სიმინდი. ჩონგური

აკროსტიხი. ტყვე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყრმეგს



რმეგო, ალარ გვყას, ჩვენ ვაჟა,
ვაჟა იმ თბილის გულითა,
უხვად რომ გვაჯილდოვებდა
ბუნების სიყვარულითა.
წაგვერთვა კარგი მეტყველი,
შემკობი მთის და ველისა,
საუკეთესო მოწაფე
უკვდავი რუსთაველისა.
განა მარტოკა ჩვენ ვჩივით,
ამასვე ამბობს ბუნება;
იმასაც დახურული აქვს
უხმოდ სწუხდება გუნება.
ნისლები მჭმუნვარ ქედებზე
ლეგად რომ გაიშლებიან,
დაბლა მოდიან ქვითინით,
ხალხის ცრემლს უერთდებიან.
ჩანჩქარებს და ნაკადულებსაც
მოაკლდათ რაღაც მხნეობა;
გლოვობს სუყველა — უფრო კი
ტურფა არაგვის ხეობა.
მაგრამ კვნესა და ტირილი
კაი ყმას როდი უხდება,
სულ მუდამ ისა სჯობია
ვინც ჭირს ატანით უხვდება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენს მთებში თურმე ქალები
ვაჟკაცებს როდი ტირიან,
გმირებს მარხავენ სიმღერით,
ცოცხალ ჯაბანებზე ჩივიან...
ვისაც ვსურთ ვაჟა უკვდავ ჰყოთ,
ასახელოთ და ადიდოთ,
მისი აზრი და ფიქრები
გულზე ჭდედ უნდა გადიდოთ.
და ააყვავოთ ის რწმენა,
რაც ვაჟას მართლა სჯეროდა,
რისთვისაც დაუღალავად
ტკბილად და მწარედ მღეროდა.
აი თუ დაგვირგვინებთ
რა ფიქრიც ამთა—აველა
მაშინ როდიღა მოკვდება
თქვენს გულში ვაჟა-ფშაველა.

შიო მღვიმელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რიჩარდ ლომ გული.



არგა ხანია მას აქეთ რაც კარ-
დაკარ მოსიარულე ორი მომ-
ღერალი დახეტიალობდა მშვე-
ნიერ ინგლისში. იგინი უკრავ-
დენ და მღეროდენ ყოველ სა-
ხლის კარ წინ. შედიოდენ
კოშკ-დარბაზებში, მებატონე-
ების სახლ-კარში და გზებზე
რომ დუქნებს ნახავდენ - ხში-
რათ იმთაშიაც არ ერიდებო-
დენ შესვლას. ერთს ეჭირა ხელ-
ში გიტარა, რომელზედაც თი-
თქოს უდარდელათ აბრახუნებსო, მაგრამ მისი ხმები კი საო-
ცარი ნაზი იყო; ზოგჯერ კი მის დაკრავში თითქოს ცხენების
თქარათქური მოისმისო. მეორე უფრო წამოსადეგი და ღონი-
ერი იყო, კეთილშობლური შეხედულობა ჰქონდა და მღერო-
და საგმირო ლექსებს და თავისი ტკბილი ხმით ყველას ასია-
მოვნებდა.

ბევრს გული უფანტქალებდა მათი მომხიბლავი მუსიკით,
ბევრს გრძნობას ულვიძებდა მათი სიმღერა; ყმაწვილი ქალე-
ბიც და კაცებიც ერთმანეთს ეკითხებოდენ, ნეტავი ვინ უნდა
იყვენ ეს ოხეტიალე მემუსიკენი, რომელთაც ყოველთვის
თვალები ძირს აქვთ ჩამოშვებული როდესაც უკრავენ და მღე-
რიან, თითქოს მათი გულიც სინაზით ტოკავდეს. უეცრათ
გამოესახებოდენ ესენი ამათ და ისევ უეცრათ გაქრებოდენ.
მათი სახე ნიღაბით იყო დაფარული, რომ არავის ეცნო ის
კი ეტყობოდათ, რომ ამათ ერთმანერთი ძრიელ უყვარდათ.
ხალხმა მხოლოთ ეს იცოდა.

არც ერთ მემამულეს, რომელიც სიხარულით დაუხვდე-
ბოდა მემუსიკეებს, არც ერთ დიდი კაცის ქალს, რომელიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიამოვნებით იპატიჟებდა თავისთან, ეჭვიც არ შეეპარებოდა, რომ ეს მომღერალი იყო თვით მეფის შვილი რიჩარდი. ლომ-გული. დამკვრელი კი მისი მახლობელი მეგობარი და ერთგული ამხანაგი, ბლონდელი რომელიც რიჩარდს ძალიან უყვარდა.

რიჩარდი ანჩხლი ხასიათისა იყო, თანაც მამაცი, თავ გაუფრთხილებელი, ამიტომ ხშირათ თავს არ იზოგავდა, არ ეშინოდა არა ფრისა და წამ და უწუმ ხელს ხმალზე იკრავდა. თუ საჭირო იყო, რომ რომელიმე ქალს გამოსარჩლებოდა, მაშინვე მისკენ გაექანებოდა და ფიქრათაც არ მოსდიოდა რომ ვისმეს მისთვის მადლობა გადაეხადა. თუ შეურაცყოფას მიაყენებდენ რომელიმეს — ის მაშინვე იქ გაჩნდებოდა ხმლით ამოღებული რომ გამოსარჩელებოდა.

რიჩარდი ყოველთვის გართული იყო ხან სხვა და სხვა რაინდულ საქმეებში და ხან მოგზაურობაში, მარტო თავის დღეში არა რჩებოდა. ჩაიგდებდა თუ არა თავისუფალ დროს მეგობრებთან ბაასში ატარებდა. როდესაც დასასვენებლათ შევიდა ოთახში თავის საყვარელ ბლონდელს გვერდიდან არ იშორებდა, ერთათ მღეროდნენ. მისი აღფრთოვანებული, მისი აღგზნებული გული მუსიკის ნაზ ხმებში პოულობდა რაღაც უცნაურ სიმშვიდეს.

რიჩარდმა იცოდა ლექსების მოწყობა ისევე მალე და სუბუქათ, როგორც ხმლის ტრიალი. ბლონდელი რომ რომელიმე ხმას აჰკრეფდა, რიჩარდი სწრაფათ სიტყვებს მოაწყობდა.

— შენი ნაზი და ტკბილი ხმები გულის სიღრმემდის მწვდება, ეტყოდა ხშირათ იგი ბლონდელს.

ამაზე ბლონდელი იღიმებოდა და ისეთი სიტკბოებით ჩამოჰკრავდა სიმებს, რომ რიჩარდი ხალისით დაიწყებდა სიმღერას. მაშინ ბლონდელიც ეუბნებოდა:

– მართალია უნაყოფო ხეს ნაყოფი არ გამოესხმება, მაგრამ როცა კი ნაყოფი გამოჩნდება — იმას მზე ალამაზებს. შენ ხარ ჩემი მზე და შენ ატკბობ, ანაზებ ჩემ დაკვრას.

ამის შემდეგ ის უფრო ნაზათ და ტკბილათ იწყობდა დაკვრას და რიჩარდს თვალებიდან ღაპა-ღუპით ცრემლები ჩამოსდიოდა.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

რიჩარდი და ბელონდელი ერთად ბევრს მოგზაურობდენ, ბევრი მიყრუებული ადგილები მოიარეს, ბევრს ღარიბ ხალხს გული გაუმხიარულეს. ბოლოს უეცრათ ამათი ბედის ჩარხი სხვა ნაირად დატრიალდა. თუმცა მათი მეგობრობა არ გაწ-და, მაგრამ ბედმა ამათ სხვა და სხვა ადგილი მიუჩინა.

რიჩარდი გახდა მეფეთ.

იგი ეფიცებოდა ბლონდელს რომ წინანდელივით მეგობ-რები იქნებიან, რომ მათ შორის განსხვავება არ იქნება, მაგ-რამ ბლონდელმა ამაზე უპასუხა:

— არა, მე არა მსურს, მაშინ მე შენი ნამდვილი მეგო-ბარი ადარ ვიქნები. შენ გახდი მეფეთ და მეფე უნდა იყო. როდესაც ერთი საათით მაინც ჩაიგდებ თავისუფალ დროს— მომიგონე. მეგობრობა ხომ მარტო სიტყვით არ არი.

ბლონდელი განშორდა და განუცხადა მეფე-მეგობარს სუ-რვილი, რომ მათ ერთმანერთი ასე ხშირათ აღარ ნახონ.

მაშინ რიჩარდმა ბლონდელი უფრო მეტათ შეიყვარა და მათი მეგობრობაც მჭიდრო და ძლიერი შეიქნა. მეფე დარწ-მუნდა, რომ ბლონდელი მართალს ეუბნებოდა. იგი მისთვის ერთგული და კეთილი ამხანაგი იყო, რომელმაც არა ერთხელ გადაარჩინა ბევრ უსიამოვნებას თავისი ჭკვიანი რჩევით. უა-მისოთ რიჩარდი ბევრ ხიფათს წაწყდებოდა.

ახლა როდესაც ეს აღფრთოვანებული ყმაწვილი გახდა მეფე მისი საქციელი უნდა მშვიდი და წყნარი ყოფილიყო, მაგრამ მისი სულიერი მდგომარეობა არ შეიცვალა. ცოტა ხანს შემდეგ მას მობეზრდა გვირგვინი. ადრინდელივით იგრძნო დაუცხრომელი მოძრაობის წყურვილი, რომელიც აქამდის მას აქეზებდა სხვა და სხვა სახიფათო საქმეებში გარევას.

რიჩარდი ბუნებით რაინდული ხასიათისა იყო, მაგრამ ხშირათ დაუდევრობით ხიფათში ვარდებოდა. მას სურდა ისეთი რამე საქციელი მოეგონა რაც მეფეს შეჰფერებოდა და ამითი სახელი გაეთქვა. ბევრი ფიქრის შემდეგ მან გადასწყვიტა ჯვა-როსნული გალაშქრება, იმ დროს ქრისტეს საფლავი ურჯულო სარაცინების ხელში იყო. ქრისტიანებისათვის ეს სათაკილო იყო და რჯულისთვისაც დიდი დამცირება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიჩარდს უნდა გამოეცადნა თავის ბედი და რადგან ეს განძრახვა მის გულს სწვდებოდა მოუთმენლობით ღელავდა, უნდა მალე შესდგომოდა სალაშქროთ სამზადის. მართალია წინეთაც იყვენ სხვა მეფეები, რომელნიც მიემგზავრე ბოდენ ქრისტეს საფლავის დასაცველათ და კი ვერას გახდენ, მაგრამ ეს მას სრულებითაც არ აშინებდა. მან ერთხელ და სამუდამოთ გადასწყვიტა, რომ რაც უნდა დამართნოდა პალესტინაში უნდა გალაშქრებულიყო.

ფრანგების მეფემ ფილიპემაც მოისურვა მიმხრობოდა რიჩარდს და ერთათ შეუდგენ სამზადის. მათ გადასწყვიტეს რომ ეს გალაშქრება იქნება ყველა წინანდელზე ძლიერი და თუ ღმერთი ხელს შეუწყობს - ყველაზე ნაყოფიერი. ამიტომაც მათ წაასხეს იმდენი ჯარი, რამდენიც არც ერთს წინანდელებს არ წაუყვანიათ. ყველა ეს კარგათ შეიარაღებული მეომრები იყვენ აღფრთოვანებულნი კეთილი განძრახვით, რომ დაეცვათ წმიდა სარწმუნოება. თუ რომ ამ გვარი მამაცი ჯარი ერთბაშათ დაეცემოდა სარაცინებს, რიჩარდს იმედი ჰქონდა რომ ადვილათ გაანთავისუფლებდა ქრისტეს საფლავს.

როდესაც ყველაფერი მზათ იყო, რიჩარდმა მიიყვანა თავისი ჯარი იმ ადგილას, სადაც უნდა ფილიპეს ჯარს შეხვედროდა. მერე ერთათ გაილაშქრენ.

ბლონდელი უნდა შინ დარჩენილიყო, რადგან მისი შესაფერი საქმე ჯარში არ მოინახა. მან გადასწყვიტა თვალ ყური ეგდო თავის მეფის საქმეებისთვის, რომ არავის გაებედნა მისი წინამდეგობის გაწევა. მაგრამ რიჩარდი გავიდა თუ არა ინგლისიდან, მაშინვე კარის კაცებმა მოახდინეს შეთქმულობა და ატყდა აჯანყება—არა თუ მარტო ინგლისში, თვით ნორმანდიაშიაც, რომელიც რიჩარდის მფლობელობის ქვეშ იმყოფებოდა. იქ გაჩნდენ ისეთი პირები, რომელთაც უნდოდათ ესარგებლათ მეფის წასვლით. ბლონდელს არ გამოეპარა ეს ამბები და საშინლათ ნაღლობდა მეფე—მეგობრის თვის და უნდოდა მისი მალე დაბრუნება.

რიჩარდი კი შინ დაბრუნებას არა ჩქარობდა. მას წინ ედო ძმიმე და საშიში ბრძოლა. გზაზედაც, როგორც წყალზედ ისე ხმელეთზედაც, ბევრი ხიფათი შეემთხვა.

იგი დიდ უბედურებას იტანდა. ფრანგების მეფე ფილი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პე არ გამოადგა ერთგულ ამხანაგათ, როგორც ბლონდელი და თავიდანვე არ შეიყვარა.

არც სარაცინებთან იყო ადვილი ბრძოლა როგორც რიჩარდს ეგონა, რადგან ისინი მამაცათ იბრძოდენ და საომარი საქმეებიც კარგათ ესმოდათ. რაც რიჩარდმა იმათ თავდაპირველათ წაართვა მალე ისევ ყველაფერი უკანვე დაიბრუნეს, არც კი ეტყობოდათ რომ რამე დაკლდათ. რაც შეეხება ფრანგების ჯარის კაცებს იმათ და ამათ შორის ჩამოვარდა გაუტანლობა, შური და ჩხუბი. რიჩარდი ნანობდა კიდეც რომ ფილიპე მოიწვია თავისთან ერთად საომრათ. მან აშკარათ დაინახა რომ არაფერ მოგებაში იყო. ის მიხვდა საომრათ რომ მარტო თავისი ჯარით წასულიყო, მაშინ ურჯულოებს უფრო მოერეოდა. ქრისტეს საფლავი ისევ სარაცინების ხელში იყო, როდესაც შეიტყო რომ მას დაუყოვნებლივ მოელიან ინგლისში, რადგან მისი მეფობას განსაცდელი მოელის და რომ შესაძლოა გვირგვინი დაჰკარგოს, რიჩარდი დიდი შეწუხებული შეიქნა, რომ თავისი განძრახვა ვერ დაამთავრა ⰴ გამოსწია თავის სამეფოში.

რიჩარდი ჯერ წყლით ბრუნდებოდა, მაგრამ მალე მოიღალა, მობეზრდა, მიატოვა ხომალდი და გზის შესამოკლებლათ წამოვიდა ხმელეთით. მას ვერ წარმოედგინა როგორ გოცდებოდენ მისი მტრები, რომელნიც მოელოდებოდენ მის ხომალდით დაბრუნებას, რომ ნახავდენ ხმელეთით მისვლას. მერე რამდენით უფრო ადრე, ვინემ ეგონებოდათ.

მართლაც ეს დაწყობილება რიჩარდისთვის ხელ საყელი იქნებოდა, რომ მისი გასავლელი გზა არ ყოფილიყო ზედ იმ მიწებზე, რომელიც ეკუთვნოდა მის მტერს ავსტრიის ერცგერცოგ ლეოპოლდს. მას რიჩარდი ეჯავრებოდა და წაჩხუბულიც იყო მასთან.

რიჩარდი ამას არაფრათ იმჩნევდა, თუმცა კარგათ იცოდა რომ მისი მტრები თვალს ადევნებდენ და ეძებდენ შემთხვევას შური ეძიათ. მას რომ ბლონდელი გვერდით ჰყოლოდა იგი გააფრთხილებდა, არ გაუშვებდა მტრის მიწებზე გამგზავრებულიყო. მაგრამ რადგან გვერდით არა ჰყავდა ამისთანა ერთგული მეგობარი ის ისე იქცეოდა, როგორც ჭკუაში მოსდიოდა და უხაროდა კიდეც რომ შესაძლოა რაიმე უცნაურ თავგადასავალს წააწყდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართალია ავსტრიელების ქვეყანაში რომ გადადიოდა ვაჭრის ტანისამოსში გამოეწყო და თავს აჩვენებდა მგზავრათ, თითქოს სალოცავთ ყოფილიყოს ტ ბრუნდებოდესო. მისი გაფრთხილება მხოლოთ ამით თავდებოდა; მას თან დაჰყავდა მთელი ამალა რაინდებისა. განა რომელი ვაჭარი ბრუნდება ხატის კარიდან მთელი ამალით? მაგრამ რიჩარდი არას დასდევდა. როდესაც ერთი ნაწილი გზისა ჰქონდა გავლილი მის ყურამდის ხმებმა მიაღწია. ლეოპოლდს სცოდნია, რომ ის ზღვით არა ბრუნდება და მის ქვეყანაშია.

მხოლოთ მაშინ რიჩარდმა უთხრა თავის ამალას:

— ხომ ხედავთ რა გაფრთხილება გვიჭირს? უნდა ერთმანეთს განვშორდეთ: მე წავალ მარტო ამ ჩემი პაჟის ანაბარას და თქვენ სხვა ტ სხვა გზით გასწიეთ. მე ტ ერცგერცოგ ლეოპოლდს დიდი მტრობა გვაქვს, იმას ძალიან ვძულვარ და თუ მის ხელში ჩავარდი, ცუდათ იქნება ჩემი საქმე.

თქვა ესა, შემოახტა ცხენს ისიც და პაჟიც და ორივემ მოჰკურცხლეს.

ამ გვარი გადაწყვეტილება ჭაუასთან ახლო იყო, მაგრამ რიჩარდმა ამითი გაათავა საქმე და სხვაფრივ გაფრთხილებას აღარ დასდევდა. სწორეთ იმ დროს, როდესაც იგი თავის პაჟის თანახლებით დაჰქროლავდა, ლეოპოლდმა გაიგო მისი ვინაობა: მას მიუტანეს ამბავი, რომ ვიღაც ვაჭარი სალოცავიდან თავისი მსახურით რომ ბრუნდება, იგი უბრალო თეთრ პურში ოქროებს აძლევსო და ტანისამოსი აქვსო მორთული ძვირფასი ბლონდებითო. ლეოპოლდი მაშინვე მიხვდა ვინ უნდა ყოფილიყო! მან მაშინვე დაუბერინა რიჩარდი და ძალიან კმაყოფილი დარჩა, რომ ასე ადვილათ ჩაიგდო ხელში მტერი. იგი დაამწყვდია საპყრობილეში და სასტიკათ უბრძანა თორმეტი კლიტით დაეკლიტათ.

რიჩარდის საპყრობილეში ყოფნის დროს მისმა მეორე მტერმა, გერმანელების მეფემ, გენრიხმა, შეიტყო რომ ლეოპოლდს რიჩარდი ხელში ჩაუგდია და ციხეში ჰყავს დამწყვდეული. მან მაშინვე ლეოპოლდს შეუთვალა, რომ უბრალო ერცგერცოგს არ შეეფერება იმისთანა შესანიშნავი პირის დატყვევება, როგორიც არის ინგლისის მეფე და რომ მან უნდა გენრიხს დაუთმოს რა ფასშიაც კი მოინდომებს.

Digitized by Georgian National Corporation

რიჩარდი მართლაც გაჰყიდეს, გენრიხს მიჰგვარეს ბერმანიაში ის უფრო მაგრად ჩაჰკეტეს, ვიდრე ავსტრიაში. გენრიხმა გაგზავნა ის ერთ მიყრუებულ, ჩაღვრემილ ციხეში, რომელიც მარტოთ მარტო მიუდგომელ კლდეზე იყო ამართული. მის ახლო მხოლოთ სხვა ამ გვარ ციხეების ნანგრევები იყო. ამ ციხეში ბევრი საზარელი საქმეები ხდებოდა, მასზე ხალხი თუ არ ფერ-დაკარგული და აკანკალებული ხმით ისე ვერ ლაპარაკობდა.

ბლონდელი კი სულ ელოდა და ელოდა რიჩარდის დაბრუნებას. სანამ ხომალდი არ იყო მოსული იგი იძახოდა: რიჩარდი მალე აქ იქნება. როდესაც ხომალდები მოადგნენ ინგლისს — იმან სიხარულით შემოსძახა. „მეფე უკვე მოვიდა!“

მაგრამ არც ერთ ხომალდზე მეფე არ აღმოჩნდა. ბლონდელმა მაშინ დანამდვილებით შეიტყო, რომ რიჩარდი გზის შესამოკლებლათ ხმელეთით წამოვიდა და კარგა ხანია უნდა დაბრუნებულიყო ინგლისში.

მაშინ ბლონდელმა დაიწყო ლოდინი. ამ მოლოდინში ხალხში გავარდა ხმა, რომ უსათუოდ მეფე მოკვდებოდაო. როდესაც ამაზე ყველამ დაიწყო ხმა მაღლა ლაპარაკი, მერე მის სიკვდილში კიდეც დარწმუნდენ, რადგან მეფე არსადა ჩნდა. მაშინვე ბლონდელმა აიღო ხელში თავისი გიტარა და გასწია მის საძებნელათ. თან წაიყვანა მან რამდენიმე რაინდი, რომელნიც ჯერ კიდევ მეფის ერთგულნი იყვენ და არა სჯეროდათ მისი სიკვდილი.

ეგინი გაემგზავრენ იმ ქვეყნებში, სადაც უნდა გაევლო რიჩარდს. საცა კი მოუხდებოდათ ღამის გათენება ბლონდელი ყველგან უკრავდა სასიამოვნო ხმებს, რომ ხალხი ამათ განძრახვას არ მიხვედრილიყო და თითქოს უბრალო ცნობის მოყვარეობით, გაკვრით დაიწყებდენ ესენი გამოკითხვას, ხომ არაფერი გაუგიათ ინგლისის მეფეზე, რომელსაც მარტოთ მარტო უნდა გაევლოს ამათ მხარეში და თან თავიანთვის ამბობდენ: ვინ იცის რა დაემართა გზაშიო, იქნება მოკვდა კიდეცაო.

ზოგი დაბლის ხმით უპასუხებდა, თან შიშით კარებისაკენ გაიყურებოდა, ხომ არავინ ყურს არ გვიგდებსო.

— ჩვენ გვახსოვს ერთი მაგისთანა მამაცი კაცი, რომელიც მიეგვანებოდა თქვენ აღწერილობას. მაგრამ ის მხოლოთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენთან ერთი წუთით შეჩერდებოდა—საქმლის სასყიდლათ. ჩვენ არ ვიცოდით საიდან მოდიოდა და ან სად მიდიოდა. მაშინ საშიში დრო იყო. ან ჩვენ უბრალო ხალხს, რა უფლება გვაქს გამოვიძიოთ მეფეები როდის და სად მოგზაურობენ. ჩვენ კი კარგათ გვახსოვს, რომ იგი ძალიან თამამათ აუენებდა ცხენს და უშიშრათ ყველას პირდაპირ თვალებში შესცქეროდა.

სხვები კი ასე ამბობდენ:

— ერთხელ საღამოთი ჩვენ კარ წინ ვისხედით. ერთბაშათ დავინახეთ ტყეში ვიღაც ფეხით მომავალი კაცი, რომელსაც დაღალვა სრულებით არ ეტყობოდა. უკან მოსდევდა ახალგაზრდა მსახური. შორიდანვე მოისმოდა მისი მშვენიერი და უდარდელი სიმღერა, რომელიც ფრინველის გალობას მიეგვანებოდა. იქნება ადამიანიც არ იყო და ინგლისის მეფის ელი იყო.

ზოგი პირქუში ადამიანი მკვახეთ უპასუხებდა:

— ჩვენ საქმის ხალხი ვართ, თავაუღებლივ ვშრომობთ. რა ჩვენი საქმეა ვიცოდეთ უცხოელ ვინმემ გაიარა თუ არა? ამაზე ბლონდელი უპასუხებდა: ის ხომ თვით მეფე იყო?

— ჩვენთვის სულ ერთია, უპასუხებდენ,—მეფეს შესახედათაც და უბრალო კაცის შესახედათაც თავის მაღლა აღება უნდა—ჩვენ კი მაგისთვის დრო არა გვქონდა. ან როგორ გავარჩევდით უბრალო ტანისამოსში მეფეს და მუშას.

ბლონდელმა ამაზე მეტი ვერა შეიტყო რა ამ დაშინებულ ხალხისაგან.

იგი თავის თავს ეკითხებოდა: იქნება მეფე მართლა მოკვდა და ტყუილი დროს დაკარგვაა რომ ვეძებთ. ამან ბლონდელი ძალიან შეაწუხა. მისთან მყოფნი რაინდნი ხედავდენ მის შეწუხებას, მის სახის დაღვრემილებას, ცრემლის დენას.

მაგრამ ბლონდელს მეფე ისე ძალიან უყვარდა, რომ ერთხელ განძარახულ საქმეს თავს არ დაანებებდა და ღმერთს შეჰფიცა ცოცხალს თუ მკვდარს მიაგნებს. მან ძებნა განაგრძო. და აი ერთხელ, როდესაც მან მთათ მდინარე დუნაის ნაპირები შემოიარა და ის იყო აპირებდა მდინარე რეინზე გადასვლას უცბათ გაჩნდა ერთ უგზო—უკვლო ჩაბნელებულ ღელეში, სადაც სამარადისო იდუმალი სიჩუმე სუფევდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღელის ერთ მხარეს ამართული იყვენ უშველებელი ყორ-დღეები და ერთ ამ კლდეზე იდგა ჩაშავებული ციხე. მისი მოღუშული „შეხედულობა სევდას იწვევდა მაყურებელში. მის გვერდით კიდევ ამ გვარივე სევდით მოცული ორი ციხე — იდგა. ეს ციხეები მიეგვანებოდენ ძველ დროის უშველებელ ცხოველებს, რომელნიც დროთა ვითარებისაგან ჩონჩხათ იყვენ გადაქცეულნი.

რაინდებმა ერთმანერთს უთხრეს;

— ჩვენი საბრალო მუზიკანტი ამ საშინელ ღელეს რომ შეხედავს გული ბოღმით აევსება. ეს სევდით მოცული არე მარე ხეირს ვის დააყრის.

მაგრამ ბლონდელმა რომ დაინახა ეს ციხე, რაღაც სიმშვიდე იგრძნო, თითქოს ის იყო თავის წადილს მიაღწია! სახე გაუბრწყინდა, გამხიარულდა და ასე უთხრა თავის თანამოგზაურებს:

— საღამო ჟამია და კი ხედავთ არა ბნელა. თქვენ აქ ბუჩქებში მიიმალეთ, მე კი ვეცდები როგორმე ციხეში შევიდე. თუ ჩემი წინა გრძნობა არ მატყუებს მე იქ ყველაფერს შევიტყობ, რის შეტყობაც მწადია.

რაინდებმა აასრულეს მისი ბრძანება და უკვირდათ ბლონდელი ასე ერთბაშათ რანაირათ გამოიცვალა.

— არ გაგონილა იმისთანა სიყვარული, როგორსაც გრძნობს ბლონდელი თავის მეფისადმი, თქვა ერთმა რაინდთაგანმა.

ამაზე მეორემ უპასუხა.

— ღმერთმა ბრძანოს რომ ვიპოვნოთ ჩვენი მეფე, თორემ ბლონდელი სულ დაგვეღუპება.

ბლონდელს არ გაუგია ეს სიტყვები. კლდეზე რომ ნახევრათ ავიდა მწყემსი ქალი შეხვდა, რომელიც კლდიდან ირეკებოდა ცხვარს. მას სახეზე ისეთი სასიამოვნო და მხიარული ღიმილი უკრთოდა, რომ გარეშემო არე მარეს დაღვრემილებას აქარწყლებდა.

ბლონდელმა დაუწყო ქალს გამოკითხვა — ციხის ამბავი. შიგ რა ხდებოდა, ან რა ხდება და ხომ ახლა არავინ არის შიგ დამწყვდეულიო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა გითხრათ, ბატონო ჩემო! უთხრა მწყემსმა ქალმა, ამ ცხის ამბავი საიდუმლოებით, სავსეა, შიგ ბევრი უმანკო სისხლი დაღვრილა, როგორც მაქვს გაგონილი. მაგაზე ლაპარაკი არ მიყვარს, მაგაზე მოგონებასაც კი თავიდან ვიცილებ. იმას კი გეტყვი, რომ ცხო ვერავინ შევა შიგ. ახლაც შიგ ბევრი ჯარის კაცებია ჩაყენებული.

ბლონდელს კიდევ ბევრი რამ უნდოდა გამოეკითხნა, მაგრამ ქალს შეეშინდა და აღარა ფერი არ უთხრა. მაშინ ქალის გულის მოსაგებათ ბლონდელმა აიღო ხელში გიტარა, და მოჰყვა სიმღერას. ამოიღო თუ არა ხმა ქალმა გაკვირვებით შეჰყვირა:

ეგ ხომ სწორეთ ის სიმღერაა, რომელსაც მღერის ამ ცხის ჩრდილოეთ კოშკში დამწყვდეული საბრალო რაინდი. ხშირათ მესმის იმ პატიმრის სიმღერა, როდესაც იქითკენ ცხვრებს გავილალებ. რა დიდი გრძნობითი, გულის წამტაცათ მღერის საბრალო, მხოლოთ იმ უბედურ რაინდს ხმა უფრო კარგი აქვს, თუმცა ის ჩაკეტულია ცხრა კლიტეში და შენ კი თავისუფლათ დადიხარ!

თქვა თუ არა ეს სიტყვები, თითქოს თითონვე შერცხვა და საჩქაროთ გაუდგა გზას, რომ მისწეოდა თავის ცხვარს.

ბლონდელს კი ისე გაეხარდა ეს ამბავი, რომ სიხარულით ცრემლები ღაპაღუპით ჩამოუიდა.

მან მაშინვე გასწია ჩრდილოეთ კოშკისკენ, საითაც მიასწალა ქალმა. ავიდა თუ არა მაღლა, ბეჭები კოშკს მიაბჯინა, გიტარას ჩამოჰკრა და მოჰყვა იმ სიმღერას, რომელიც ქალს უმღერა. ეს იყო შესხმა ჭაბუკობისა და ოცნებისა.

ამ სიმღერის სიტყვები თვითონ რიჩარდისაგან იყო ოდესღაც მოწყობილი. როდესაც ბლონდელმა ცოტა ხნით შეაყენა სიმღერა, უცბათ პასუხათ კოშკიდან მოისმა მისი გაგრძელება. ეს იყო ნამდვილათ რიჩარდის ხმა.

— შენ ხარ, ჩემო ერთგულო ბლონდელო? სიმღერა რომ ვაათავა დაუყვირა მან.

ბლონდელმა სიხარულით პასუხი გასცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

—დიაღ, მე გახლავარ, მეფეს! ძლივს არ მოგაგენ, რამდენს გეძებდი. ქვემოთ ღელეში, ხშირ ბუჩქებში, მომალულნი ხარ ან შენი ერთგულნი რაინდნი, რომელნიც მზათ არიან გაგაპარონ. იგინი ჩემთან ერთად დაგეძებდენ, ისინი შენსავით უშიშრები არიან.

დიდ ხანს ლაპარაკობდენ ეს ორი მეგობარი, ბოლოს უნდა განშორებულიყვენ. ბლონდელი მაშინვე ციხის უფროსთან წავიდა. ის ძალიან კეთილი რაინდი აღმოჩნდა. მას კიდეც გაეხარდა მისი მიღება, რადგან ამ მიყრუებულ ადგილას არც ერთი მომღერალი—მუზიკანტი არ მივიდოდა და ახლა იმა რომ ბლონდელის სიმღერას გაიგონებს.

ბოლოს ბლონდელი დაბრუნდა თავის ამხანაგებთან და შეატყობინა რომ მეფე იპოვა ციხეში დამწყვდეული. ესენი მოჰყვენ ერთმანერთში მოლაპარაკებას, რა გზით შეიძლება რომ გამბედავმა კაცმა ტყვეობას თავი დაიღწიოს, ან როგორ მოახერხონ მეფეს გაპარვა. საშუალებები ბევრი მოიგონეს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ არაფერი არ ხერხდებოდა: ციხე შიგნიდან ძალიან გამაგრებული იყო და თითონაც ცოტანი იყვენ. ეს უშლიდა მეფის განთავისუფლებას.

მხოლოთ ერთიღა საშუალება დარჩა, ეს იყო ხერხი როგორისაც ომში ხმარობდენ, სხვა ფრივ მეფის გაგცევას ვერას ფრით მოახერხებდენ.

ამავე დროს ბლონდელი გამუდმებით დაიარებოდა ციხეში. როდესაც იგი მღეროდა იქ დიდ დარბაზში, ან ბუხრის წინ სასადილო ოთახში, თან თვალიერებდა ყველა იქ მყოფთ, ცდილობდა მათ სახეზე ამოეკითხა თანგრძნობა თავის განძრახულ საქმისადმი. მაგრამ იქ მყოფნი ციხის დარაჯნი—ჯარის კაცები, მყვირალა, ბორტები, ხეპრები და ჭკუით მოკლენი იყვენ. მათი მიზანი იყო მხოლოთ ციხის დაცვა. ბლონდელი რაკი ხედავდა რომ მათგან ხეირი არ იქნებოდა თვალებს მაშანვე ძირს დაუშვებდა.

ერთხელ, როდესაც იგი დარბაზში იდგა და დაღვრემილი აქეთ იქით გაიყურებოდა, უცბათ გაიხედა მოსამსახურე ყმაწვილი ქალისაკენ და მას თვალები აენთო, მაშინ ხმამ მეტათ სინაზით დამღერა. ქალი წამოსადგეგი, ლამაზი და სასიამოვნო შეხედულებისა იყო. ბლონდელი რომ მღეროდა ქალი ცდილობდა არ შეეხედნა, თვალი აეშორებინა.

მეორე დღეს ქალი ისევ ციხის დარბაზში მსახურობდა და ბლონდელმა ხელ ახლათ მიაქცია მას ყურადღება. შეაჩნია რომ მას ლურჯი თვალები ჰქონდა, მისი ღიმილი ისეთი ალერსიანი იყო, რომ სხვებსაც ჰგვრიდა ღიმილს. მის მშვენიერ ტუჩებს, თითქოს მხოლოთ ტკბილი სიტყვების გამოთქმა შეეძლო. ერთხანს, როდესაც ის გავიდა ოთახიდან და ბლონდელმა ვეღარ დაინახა მისი სახე, მან იკითხა მისი ვინაობა და შეიტყო რომ ის ციხის დარაჯის ქალია და ყველას საყვარელი.

ერთხელ, როდესაც ბლონდელი მღეროდა პურის საჭმელ ოთახში, სადაც ბუხარში გაჩაღებული იყო ცეცხლი და ნახევრათ ჩაბნელებულ ოთახს წითლათ ანათებდა—შემოვიდა ციხის დარაჯის ქალი, მიუჯდა ცეცხლს, თავი ხელებზე დაკრდნო და მიეცა ოცნებას. ის მაშინ ნამდვილ მშვენიერებას წარმოადგენდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბლონდელს აუტოკდა გული, აღფრთოვანდა, სიხარულით სავსე სიმღერა დასძახა, იგრძნო რომ შეიყვარა ეს ქალი და ამ სიყვარულში იცოდა რომ იმოვის გზას მეფის გასანთავისუფლებლათ.

დარაჯს არ უყვარდა ბლონდელი. ეს მომღერალი ვიღაც უცხოელი იყო და ეტეობოდა გულში რაღაც საიდუმლო ედო და სულაც არ უნდოდა რომ მის ქალს იგი შეერთო, ამიტომაც როდესაც ბლონდელმა გამოუცხადა ქალს სიყვარული, ქალმა ურჩია დროებით არ გაემხილა. მაგრამ როდესაც ბლონდელი გამოუტყდა ტყვე—მეფეს შესახებ, ქალი შიშმა აიტანა:

— მამა ჩემი მკაცრი, ბოროტია, უთხრა მან. ის თავის ერთგულობის ფიცს არ გასტეხავს, რაც უნდა დაემართოს მეფეს არ გაანთავისუფლებს.

და ქალი მოჰყვა ტირილს. მაშინ ბლონდელმა მასთან ერთათ ათას გვარი გეგმები შეადგინა მეფის გასანთავისუფლებლათ, მაგრამ ასრულება აგრე ადვილი არ იყო; ყოველ შემთხვევაში მომღერალს თავის შეწირვა სჭირდებოდა. ქალმა ხელების ფშვნეტით დაიწყო ფიქრი. მერე ისევ ტირილს მოჰყვა.

— მამა ჩემი, იცოდე თავის დღეში არ გაანთავისუფლებს იმას, თქვა მან ბოლოს.

დღეები გადიოდა. ერთ დილით დარაჯის ქალმა ჩუმათ უთხრა ბლონდელს.

— მამა ჩემი ხვალ დილით მიდის ქალაქში საქმეების გამო. ჩემის მხრით სწორეთ სიგიჟეა, მაგრამ მე ვიშოვი მეფეს კოშკის გასაღებს და გამოვიყვან. შენ კი შენი ამხანაგებით ეცადეთ გააპაროთ.

ეს სიტყვები თქვა თუ არა მოშორდა.

მაგრამ რომ გაიარა ორიოდ ნაბიჯი-ისევ დაბრუნდა.

— შენ რომ შენი მეფით გაიგცევი, მეც ხომ თქვენთან ერთათ უნდა გავიქცე, რადგან ჩემი საქციელის შემდეგ მე აქ აღარ დამედგომება.

ქალი წავიდა ძალიან შეწუხებული. მასში ეტყობოდა იბრძოდა მოვალეობა და გრძნობა. მას უყვარდა თავის მამა, თუმცა იგი ბოროტი იყო, მაგრამ ბლონდელი უფრო მეტათ უყვარდა. ამ ორ სიყვარულთა შორის ისეთი განსხვავება იყო, როგორც ცისა და დედა—მიწისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც კი ციხის დარაჯი გაუდგა გზას ბლონდელი ჩუმათ შეიპარა ციხეში. მეომრებმა არ შეიტყეს რომ ის მათთან იმყოფება, რადგან დარაჯის ქალმა მიმალა და მერე ერთად შეუდგენ თავიანთ განძრახვის ასრულებას.

ქალმა მეფის საბყრობილოს გასაღებები აიღო ტ როდესაც შესაფერი წუთი დადგა გასწია ჩრდილოეთ კოშკისკენ. გზაზე არავინ დახვედრია. მან თამამათ გააღო კარები და მეფეს ალერსით უთხრა:

— წადი ფრთხილათ, მეფეე, ციხიდან გასვლა საშიშია, გაიძვერა ხალხი ბევრია.

მან მოჰკიდა ხელი მეფეს და მიიყვანა იმ ადგილამდის, სადაც ბლონდელი ელოდა მას.

ბლონდელმა მაშინვე შეიარაღა მეფე: ჩამოაცვა ჩაჩქანი, ხელ მის ისცა ხმალი და ფარი. როდესაც რიჩარდი საომრათ გამოეწყო მისმა მომღერალ-მეგობარმა უთხრა:

— ახლა, მეფეე, დადგა განსაცდელის საათი! და მაშინვე გაიგცენ ციხიდან. სწრაფათ გაურბინეს დარაჯებს, მშვიდობით მოშორდენ მათ, ფეხ აკრეფით გაიარეს ეზო და გაღებულ ალაყაფის კარებიდან (ჯიშკრიდან) გავიდენ.

ციხიდან რომ თავი დააღწიეს რიჩარდი შემოახტა მკვირცხლ ცხენს, რომელიც მისთვის მზათ იყო და გაჰკურცხლა შორეულ მთებისაკენ. ბლონდელი და ახალგაზრდა ქალიც, რომელმაც ასეთი დიდი დავალება გაუწია მეფეს, შესხდენ ცხენებზე და გამოუდგენ რიჩარდს. ისინი ისე სწრაფათ მიაჭენებდენ, რომ მალე გავიდენ სამშვიდობო გზაზე.

ამათ ბევრი ვიავგლახი და ხიფათი გადახდათ თავს, სანამ გასცილდებოდენ გერმანელების ქვეყანას და მიაღწევდენ თავიანთ მშვენიერ ინგლისს, რომლისკენაც სულით და გულით მიესწრაფებოდენ.

რიჩარდი ლომ-გულა ხელ ახლათ ავიდა ტახტზე და ისევ ძალოვან, კეთილ მეფეთ შეიქმნა. მას ძალიან უყვარდა ბლონდელი და მისი ცოლი მატილდა. ისინი ურიცხვი საჩუქრებით დააჯილდოვა და სხვა მრავალი ხარისხებითაც გააბედნიერა.

(თარგმანი)

ან. წერეთლისა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

† ვაჟა-ფშაველა.

(1861—1915 წ.)

ინ არის თქვენგანი რომ არ წაეკითხოს „შვილის ნუკრის ნაამბობი,“ „ფესვები“, „ამოდის ნათდება“. ეს ამბები მსოფლიო ლიტერატურაში თვალსაჩინო ადგილს მოიპოვებენ ⸗ მრავალი ამგვარის დამწერი არის ვაჟა-ფშაველა (ლუკა რაზიკაშვილი.) იგი გარდაიცვალა 27 მკათათვეს, წმ. ნინოს ლაზარეთში და დაკრძალულია 2 მარიამობისთვეს, დიდუბეში. სხვა უბედურებასთან ერთად ეს თავზარდამცემი ამბავიც დაგვატყდა თავს. მთელი ერის საყვარელი, მთის არწივათ წოდებული, სამშობლოს ღრმათ მოყვარული ვაჟა, ჯერ სულ შუახნის კაცი, უეცრათ გამოგვესალმა. იგი მხოლოდ 54 წლისა იყო. სხვა ქვეყნებში, მეტადრე ინგლისში, ამ ხნოვანობის კაცი, მხოლოთ ამ ხანაში გამოდის საზოგადო ასპარეზზე. ჩვენში უკუღმართ ცხოვრებით მოღალული ჯანი ველარ უძლებს და ვაჟასთანა საუნჯეს ასე ადვილათ ვკარგავთ.

ვაჟა-ფშაველა დაიბადა 1861 წელს სოფელ ჩარგალში, ფშავში. მისი მამა, პავლე, სოფლის მღვდელი იყო და თავისი შვილი სემინარიაში მიაბარა, მაგრამ სემინარიამ ვაჟა არ დაკმაყოფილა და მან იქ დიდხანს არ დაჰყო. იქიდან გადავიდა გორის საოსტატო სემინარიაში და იქ ყოფნის დროსვე მოთხრობების და ლექსების წერას მიჰყო ხელი. დამთავრა თუ არა კურსი სემინარიაში, მაშინვე დანიშნეს მასწავლებლათ თავისივე სოფელ ჩარგალში.

მაგრამ ვაჟას გენიოსურ მიდრეკილებას ვერ დაკმაყოფილებდა მისი სწავლა-განათლება და იგი გაეშურა პეტროგრადში, სადაც პროფესორების ლექციებს ისმენდა და ბევრ წიგნე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბსაც კითხულობდა, მაგრამ სიღარიბემ იგი ისევ მალე დაბრუნა სამშობლოში. დაბრუნებისთანავე ორიოდ წელიწადს დაჰყო თიანეთში მასწავლებელად ამოირჩია სოფლური მუშაობა და მეზობელ გლეხ-კაცების მიხედვით იმანაც ხვნა-თესვას მიჰყო ხელი.

ამ 26 წლის წინეთ, როგორც სხვა ჩვენმა მწერლებმა, ვაჟამაც ხელი გაუწოდა ახლათ დაარსებულ ჟურნალ „ჯეჯილს“ და პირველ ნომრიდანვე მასალას უხვათ აწვდენდა. ოცდაათზე მეტი ლექსები, პოემები და ამბები თერთმეტი წლის განმავლობაში ამშვენებდენ ჟურნალს. მათ შორის არის: წიფლის ჩიტი, ნიბლიას ანდერძი, ფესვები, სვავი, ობოლი ბარტყები, ამოდის ნათდება, მელია-კუდა გრძელია, საწყალი ჩხიკვი, ბუნების სურათი, ჩხიკვთა ქორწილი და მრავალი სხვა, რომელნიც არ იყო მის სიცოცხლეში ცალკე წიგნათ დაბეჭდილი.

თანდათან ვაჟას ოჯახს მჭამელი პირი ემატებოდა. ცოლშვილს გამოკვება სჭირდებოდა, შვილებს ჩაცმა-დახურვა, სწავლა უნდოდათ. რედაქციები იმდენს ხას მიაწვდიდენ, ნაწერ სტრიქონში შაური ბევრათ გვეჩვენებოდა. ვაჟას ნიჭი კი მეტათ და მეტათ იფურჩქნებოდა, მას აღარ აკმაყოფილებდა მარტო ბავშებისათვის წერა. მისი ქებათა-ქება, გველის მჭამელი, ღილა და კვირისა, ბაკური და სხვა მრავალი მისი კალმის ნაწარმოები სხვა ქვეყნებში მას დიდ სიმდიდრეს შესძენდა. ვაჟასთანა ნიჭიერს კი ჩვენში უსახსრობით სული ამოსდიოდა და სასოწარკვეთილებით მიისწრაფოდა თავის საყვარელ თმებისკენ:

.. გულზე მესვენა მზე-მთვარე,
ვლაპარაკობდი ღმერთთანა...
საკეთილ-დღეო ქვეყნისა
მედგა სულათ და გულათა...
ეხლა თავ-თავქვე მივდივარ,
ხევში მიმელის ბნელია..
...წამლობას ველარ გამიწევს
ეხლა ცრემლები მწველია!

ასე ჩივის ვაჟა თავის ბედზე. მეტადრე ამ ბოლო ხანებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი მკვირცხლი, საღი გონება ხედავდა საბშობლოს დაბერებას, აკაკის სიკვდილმა ხომ უფრო მოაუძლურა და სენმა დასძლია... იგი სწუხდა ძალიან, რომ ვერ ჩამოვიდა თბილისში და უკანასკნელი სალამი ვერ მისცა მგოსანს.

აპრილის დამლევს დაიჯერეს ვაჟა, რომ გასაკურნათ ჩამოსულიყო თბილისში. დიდხანს წინააღმდეგობდა, არ უნდოდა მოშორებოდა თავის მთებს, მაგრამ ბოლოს მაინც დასთანახმდა.

23 მაისს საზოგადოებამ გაუმართა თავის საყვარელ მწერალს, ვაჟას, 35 წლის სამწერლო მოღვაწეობის პატივსაცემათ დღესასწაული. ის იყო და ის—ვაჟა ჩავარდა ლოგინათ. საზოგადოებამ მოსარჩენათ მოათავსა იგი წმ. ნინოს ლაზარეთში.

როგორც დაკოდილი არწივი ვაჟა მთებისკენ, იწევდა ლამობდა სუფთა ჰაერის ჩაყლაპას და ვინ იცის ცოტა ხნობით მაინც შეგვრჩენოდა პოეტი, რომ მისწდომოდა იგი თავის საყვარელ მთებს.

ახლა უნდა ვეცადოთ მისი თხზულებების, მეტადრე საყმაწვილ ონაწერების, გამოცემას, რომ უფრო დავიფასოთ მისი ნიჭი და ღვაწლი.

ან. წერეთლისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ომი

ბიძია ჟორჟის ნაამბობი

(ფრანგულიდან)

I.

ს იყო იმ წელიწადს, როცა ომი გამოაცხადეს. მე მაშინ სამი წლის ბავშვი ვიყავი, სწორედ შენი ხნისა და შენი ტანისა.

რათ ომობდნენ? რისთვის? ამაზე ვერაფერს ვერ გიპასუხებ. თითონ ომიც იმისთანა საქმეა, რომ თითქმის კარგათ არა ვინ არც კი იცის თუ რაზედ ასტყდა. ეს მთავრობის საქმეა და იმ პირების, ვინც ხალხის მართვა-გამგეობის სათავეში დგას. ისინი უცხადებენ ომს, როცა საჭიროთ, ან თავიანთ ქვეყნისთვის სასარგებლოთ დაინახამენ. ზოგჯერ თავიანთ უნებურათაც ომობენ, როცა მოპირდაპირეები გამოიხმობენ.

ის კია, რომ ჩვენ მშვიდობიან მცხოვრებლებს, რომელთაც ერთათ-ერთი საზრუნველი ისა აქვთ, რომ პატიოსნათ იშრომონ და თავიანთ ოჯახობა გამოჰკვებონ, არა ჰკითხამენ, სასურველია ომი თუ არა... რაკი ომს გამოაცხადებენ გინდა თუ არ გინდა უნდა ყველამ გაჭირვება და მწუხარება მოითმინოს.

კარგათ მახსოვს. თითქოს ეს გუშინ იყო, მამამ სადილათ ძალიან დაიგვიანა, ჩვენ ყველანი ვღელავდით, რადგან მამა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძალიან გვიყვარდა, ის ყოველთვინ კეთილი და ალერსიანი იყო და თუ ᲘᲨᲘᲐᲗᲐᲗ გაგვიწყრებოდა ხოლმე უთუოთ ისიც სამართლიანათ.

ის ბინდისას მოვიდა და შევამჩნიეთ, რომ რაღაზედაც აღელვებული და ჩაფიქრებული იყო.

— ცუდათ არის საქმე, – უთხრა მან დედას და თავის ქალალდებით სავსე ჩანთა გაჯავრებული მაგიდაზე დაადგა.—

მთელი ქალაქი ღელავს. —

მე უკანასკნელ დეპეშას ველოდი.

მამამ რაღაც გრძელი ამბავის თხრობა დაიწყო.

მე თითქმის ვერაფერი ვერ გავიგე. რისთვის ჩხუბობდენ ვერ შევიტყე. – ყველაფერი არეული და გაუგებარი იყო. ამასთანავე მამა რაღაც ბრძნულ სიტყვებს ხმარობდა.

დედას, მგონია ჩემზე ცოტათ უფრო მეტი ესმოდა.

— როგორ? განა? ნამდვილათ ამბობ? ჰკითხავდა, თან წვენს ასხამდა და მამას გაშტერებული უყურებდა. მამამ გაზეთი გაშალა, რაღასაც კითხულობდა, ვერ გავიგე.

— როგორ? მარტო ეგ არის მიზეზი? მაგის გულისთვის ომობენ? წამოიყვირა დედამ, როცა მამამ კითხვა გაათავა.

— დიაღ...

— ომი? აქ—ჩვენსა? უბრალო ცილობის გულისთვის? განა თითონვე ვერ გაარჩევენ ერთმანერთში მაგ დავიდარაბას... ჩვენი რა საქმეა! რა შუაში ვართ?

— რას ამბობ. ჩვენ მაგის ნებას ვერ მივცემთ და საქმეში ჩარევისათვის ომის გამოცხადებას გვიქადიან. აი გაზეთები, შენ თითონ წაიკითხე. ყველანი იმ აზრისანი არიან, რომ ომი აუცილებელია.

— განა გაზეთებიც იმ აზრისანი არიან...

დედა თითქოს გაქვავდა, ჩამჩა ხელში გაუშეშდა და გაუნძრევლივ იდგა. მამამ ჯიბიდამ თოელი გროვა გაზეთი ამოიღო, გაუწოდა დედას, მაგრამ იმან ხელი არ ახლო.

— არა! რა საჭიროა? ტყუილათ სისხლი უნდა ავიმღვრიო.

გაანჩხლებულმა ჩამჩა წვენში ისე ჩაადგო, რომ წუნწკლები სუფრაზე დაიღვარა. სხვა დროს დედის ამ გვარი საქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციელი გაგვაცინებდა, მაგრამ ამ შემთხვევაში ყველანი ვგრძნობდით, თუ რამდენათ ის აღელვებული და შეწუხებული იყო; უბრალო ღიმილიც კი არვის მოსვლია.

— ღმერთო ჩემო!—წამოიძახა მან და თავს ვეღარ იმაგრებდა,—ასი ათასი ქრისტიანი, რომელთაც უნდათ პატიოსნათ იცხოვრონ და თავიანთი შვილები გამოზარდონ, უნდა ერთმანერთს დაერიონ და დახოცონ. აბა სად არის აქ ან გრძნობა და ან აზრი? განა ისინი ჩვენ დახოცილებს გაგვიცოცხლებენ? განა იმას, რასაც ომი ზიანს მოგვიტანს გვიზღავენ? რა ჩვენი საქმეა იმათი უთავბოლო ქიშპობის გამორკვევა. განა შეიძლება ორი ხალხის ერთმანეთზე მისევა? ჩვენ ვინა ვართ—ველურები— თუ განათლებული ხალხი?

მამა მოთმინებით ყურს უგდებდა და მარტო მხრებს იწევდა. როცა დედა გაჩუმდა, უთხრა:

— შენ ისე სჯი და ლაპარაკობ, როგორც ყველა ქალი

— ქალი თუ კაცი სულ ერთია,—საქმე იმაშია, მართალი ვარ თუ არა?

— მე იმას კი არ ვამბობ, რომ ზოგიერთ შემთხვევაში მართალი არ იყო, მაგრამ—ქვეყანას გულის თქმით ვერ მართავენ... ზოგი ერთი შემთხვევაა, როდესაც კითხვები, რომელიც ხალხის ნაციონალურ სიამაყეს შეეხება, კერძო პირების კეთილ დღეობას ავიწყებენ... ეს—პოლიტიკაა...

დედას დამშვიდება და დარწმუნება ძალიან ძნელი იყო.

— ვიცი, ვიცი, – მოუთმენლათ განაგრძო დედამ,— თქვენ, კაცებს მაღალი და ლამაზი სიტყვები გაგიტაცებსთ და თავბრუს გახვევთ, მაგრამ ჩვენ ქალები მართალს უფრო კარგათ ვარჩევთ. განა შენ ეგრე ილაპარაკებდი, რომ მაგ გვარივე სჯა ყავახანაში არ გაგეგონა და ან გაზეთებში არ ამოგეკითხნა.

მამა თითქოს ცოტათი დარცხვენილი და შეწუხებული იყო.

—მე რას ვამბობ... ენა შენ არ იცი რომ მე ამ ამბით შენზე მე უფრო გახარებული არა ვარ? მაგრამ რას იზამ, ბევრიც რომ ვიჯავროთ, ვეწინააღმდეგოთ, რას უშველითო? აუცილებლობას უნდა დავემორჩილოთ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ლაპარაკი სამუდამოთ გულში ჩამრჩა, თუმცა დაწვრილებით გადმოცემას ვერ ვახერხებ.

სადილმა მოწყენილოთ ჩაიარა და სულ მარტო ომზე ლაპარაკობდენ, უფროს ძმებს პავლეს (17 წლისას) და უმცროს ვანოს (15-სას) ეხ ბაასი ჩემზე უკეთ ესმოდათ, რუკა და სქელი წიგნები გადმოიღეს, მარტო თავიანთ ოთახში კი არ დაკმაყოფილდენ მამას ჰკითხავდნენ, რაც ძნელი გასაგები იყო.

საღამოზე მამა არა ჩვეულებრივათ სადღაც წავიდა, გვითხრა, რომ ქალაქში მიდის ახალი ამბების შესატყობათ.

ჩემი ძმები წიგნებს ფურცლამდნენ. დედა ქსოვდა და ღრმათ ოხრავდა, ხანდისხან საქსოს თავ დაანებებდა, შემოგვცქეროდა და ბუტბუტებდა.

— ღმერთო ჩემო... ღმერთო ჩემო!

ყველანი მოწყენილი იყვენ.

თავის დროზე დასაძინებლათ გამგზავნეს.

მეც ამ გარემოებას გულ გრილათ არ უყურებდი, ძალიან კარგათ ვიცოდი რა არის ომი. მამას რამდენიმე სურათებიანი სქელი წიგნი ჰქონდა ომის შესახებ, თუმცა ჯერ კარგათ ვერ ვკითხულობდი, მაგრამ სურათებს ყოველ დღე ვათვალიერებდი და კარგათ ვიცოდი სად რა ომი მომხდარა, ვის გაუმარჯვნია და ყველა ადგილების სახელი, სადაც კი შეტაკება ყოფილა. ყველაფერი უკეთ რომ გამეთვალისწინებინა ჩემ აუარებელ თუნუქის სხვა და სხვა რაზმის მეომრებს მაგიდაზე დავამწკრივებდი ხოლმე. ყველა ევროპის ქვეყნების ჯარის კაცები, ფეერად ფერად ტანისამოსში გამოწყობილი მყავნდა. მე ყველაზე უფრო ის სალდათები მომწონდა, რომელნიც თოფი მხარზე გამოჭიმული, არ იდგნენ და შუბებით ხელში მტერს შეეტაკებოდნენ ან და გაშიშვლებულ ხმლებით ომობდნენ. მთელ რაზმებს პირიქვე წავაქცევდი.

როგორ მინდოდა, რომ მალე გავზრდილიყავ, მეც ნამდვილ მეომრათა რაზმში ჩამდგარვიყავ და მეომა.

ვერ წარმოიდგენ თუ რა შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე იმ ამბავმა, რომ აქ, ჩვენსა, ომი დაიწყება და ნამდვილ მეომრებს თვალით ვნახამდი. მე ძალიან მეშინოდა, რომ ჩემი იმედები არ გაცრუებულიყო და სულით და გულით ვსწუხდი, რომ დედა ომის წინააღმდეგი იყო, მე არ მესმოდა მიზეზი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუმცა ყველაფერში იმის აზრს ვეთანხმებოდი. მე ისე აღ-ზრდილი არ ვიყავი, რომ დედასთან კამათი დამეწყო და მეშინოდა, რომ ჩემი წინააღმდეგობითი არ შემეწუხებინა, მაგრამ ჩუმათ კი ჩემ ჩვეულებრივ საღამოს ლოცვაში ვბუტბუტებდი:

— ღმერთო დიდებულო, კეთილო და მოწყალეო; გაგვიმართე აქ დიდებული ბრძოლა!

იმ დღეს ჩემ თბილ და რბილ საწოლში დიდხანს არ დამეძინა, სულ მომავალ სასიამოვნო ბრძოლაზე ვფიქრობდი და როცა ჩამეძინა, დამესიზმრა, რომ დიდებული ღენერალი ვიყავი, ოქროიმკედით მოკაკულ პრკყვიალა ტანისამოსში გამოწყობილი და ქუდზე მშვენიერი ბუმბული მქონდა გარჭობილი. მე ზედი ზედ ვიმარჯვებდი. დაფ-ნაღარას უკრამდენ, სამხედრო მუსიკას გრიალი გაჰქონდა... ოჰ, რა სასიამოვნო სიზმარი იყო!

II

მეორე დღეს მამა ჩემის წიგნები, სადაც ომის აღწერილობა და სურათები იყო, გადმოვალაგე, ვათვალიერებდი და როცა მომაგონდა, რომ მინამ მე ოცი წლისა გავხდებოდი და სალდათათ გამიწვევდნენ ერთობ დიდი ხანი ცდა მომინდება, ამ აზრმა შემაწუხა და ჩამფიქრანა:

რა დაგემართა?—მკითხა დედამ.

მე არ მინდოდა ჩემი მოწყენილობის მიზეზი გამემჟღავნებინა, მაგრამ დამალვაც ვერ მოვახერხე, რადგან ჩაგონებული ვიყავი, რომ დედამამას არაფერი არ უნდა დაუმალოო.

—ოჰ მწყინს... მეშინიან, უპასუხე მე ენა დაბმულივით როდესაც დედამ კითხვა კიდევ გაიმეორა, — რომ ვაი თუ ჯერ ომი არ ასტყდეს და სულაც არ იყოს...

— გაჩუმდი, გაჩუმდი! საცოდავო, სულელო ბავშვო!— წამოიყვირა დედამ შეშინებული და ტუჩებზე ხელები მომაფარა და მაგრად გულში ჩამიკრა, თითქოს რაღაც საშინელი განსაცდელისაგან უნდა დავიფარე.

— შენ არ გესმის რასაც ამბობ!

დედის ნიშმა ისე შემაწუხა, თუმცა არ მესმოდა რაში იყო საქმე, რომ მოვეხვიე და კოცნა დაუწყე და ბოდიში მოვიხადე. დედა რამდენიმე ხანს გაჩუმებული იყო

—დაანებე თავი მაგ წიგნებს, სთქვა მან, გეყოფა მაგ-დენი სინჯვა, წადი ბაღში და ლიუსისთან ერთად ითამაშე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე მაშინათვე დავემორჩილე და როცა ოთახიდან გამოვდიოდი, ვნახე რომ დედა წიგნებს განჯინაში ალაგებდა. მე წარმომიდგა, რომ ის თითქო გაჯავრებული ისოროდა.

ლიუსი ჩვენი მეზობლის ქალი იყო. ის ორი წლით ჩემზე უფროსი იყო, თითქოს ეხლაც თვალწინ მიდგია. ლიუსი თეთრ წითელა, ქერა ხუჭუჭო თმიანი გოგონა იყო. ჩვენ დიდი მეგობრები ვიყავით, თუმცა კი ხშირათ ვჩხუბობდით. იმას თავი იმით მოჰქონდა, რომ ჩემზე უფრო ნასწავლი იყო და ამტკიცებდა, რომ კაცებმა ყოველთვის ქალებს უნდა დაუთმონ ყველაფერშიო, არ ვიცი ვინ ჩაგონა მას ეს აზრი. ჩვენსა კი ჩემი ძმები პირიქით იმ აზრისა იყვნენ, რომ ყველაფერი კაცებმა უნდა გადასწყვიტონ და ქალები კი უნდა დაემორჩილონ იმათ.

ჩემდა სამწუხაროთ ლიუსი ჩემზე უფრო ჩქარა ლაპარაკობდა და უფრო უკეთ გამოსთქვამდა ხოლმე თავის აზრს. ის სულ ლამაზ სიტყვებს გამოიგონებდა სჯაში, მე ყოველთვინ დამარცხებული ვრჩებოდი. ის დამცინოდა და მე მწყინდა. მე ყურადღებით ვეჭცეოდი და იმას კი თავი ისე ეჭირა, რომ თითქოს იმისთვის სულ ერთი იყო, ამითი უნდოდა უფრო გაეჯავრებინე.

ბოლოს ჩვენი შეტაკება შერიგებით გათავდებოდა.

მე ბაღის ლობესთან მივედი და სამჯერ დაუშტვინე.

არ გავიდა ხუთი წუთი, რომ ლიუსი გაწითლებული თეთრ კაბაში მორთული ღობეს მოადგა.

ჩვეულებრივ ის დიდხანს მაცდევინებდა, ღობის უკან დაიმალებოდა და ჩემი მოუთმენლობით ერთობოდა.

—რატომ ასე დაიგვიანე?—სთქვა მან.—მე მთელი დილა გელოდი და მეშინოდა ავად ხომ არ გახდი!

მადლობის მაგივრათ მე მედიდურათ უპასუხე:

—არა მცალოდა! წიგნებში გართული ვიყავი!

დავეჩქარე ომის შესახებ ახალი ამბავი შემეტყობინებინა და თან მინდოდა მეჩვენებინა თუ რამდენათ იმაზე მცოდნე ვარ. აუხსენი, რომ ამ გვარი წიგნების კითხვას მთელი დილა მოვანდომე.

—შენ იქნება არ იცი, რომ შესაძლოა ომი ასტყდეს?

—ა,ა, ომი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე ვცდილობდი ჩემი სიტყვებისათვის დიდი მნიშვნელობა მიმეცა, მაგრამ იმის წარმოთქმული „აკაა“ ერთობ გულ გრილი და უმნიშვნელო იყო.

—შენ უთუოდ არც კი იცი თუ რა არის ომი? უთხარი მე ამაყათ.

—რატომაც არა, შენზე უკეთესად ვიცი!

— ჩემზე უკეთესათ, აბა ერთი მიამბე? წამოვიყვირე წყენით.

—ომი... ეს... ომობენ

- აბა როგორ?

—ოჰ, რას ჩამაცივდი.

—დაგიპირე! დაგიპირე! შენ ვერას დროს ვერ გაიმარჯვებ!

მე ერთობ სულგრძელი ვივავი, არ მინდოდა ჩემის გამარჯვებით მესარგებლა და ლიუსი უცოდინარობისთვის შემერცხვინა. ვისწრაფოდი ხამხედრო მიხვრა მოხვრით ამეხსნა მისთვის ომის მნიშვნელობა.

— მოემზადე!... ერთი, ორი, სამი! პლიო,... პიჰ! პაჰ! ბუმ!... ბუმ!... ტრახ, ტახ, ტახ... ტრა—ტა—ტა.

ეს თოფები, ზარბაზნები დაფი და ღროლოტი იყო.

მე ვითომ ცხენზე ვიჯექი და ხმალს ვატრიალებდი. ჩემი ცხენი ჩემ გუნებაში ხტოდა. ჩემდა სამედნიეროთ გუნებაში თორემ ამ ნახტომებს ცოცხალი ვერ გადურჩებოდი.

ეს წარმოდგენა სირბილით დავამთავრე და საშინლათ ვყვიროდი. მტერი დამარცხებული იყო.

როცა კარგათ დავიქანცე ლიუსისთან მივედი. მეგონა, რომ ის ამ ჩემი სიმამაცისათვის და სამხედრო გამარჯვებისათვის შემაქებდა და მომილოცავდა. ჩემდა სამწუხაროდ ლიუსი გაჩუმებული იდგა.

—რას გაჩუმებულხარ?

—მე მეგონა, როცა ომობენ ერთმანეთს ხოცამენ? მაშინ უთუოდ ბევრი მკვდარი და დაჭრილები იქნებიან?

რასაკვირველია! ომიანობის დროს ყოველთვინ აგრეა. მერე რა უყოთ, ხომ მტერსა ჰკლამენ! მაგრე უნდა!—მოიცა, მე ჩემ თოფსა და ხმალს მოვიტან! მე ოფიცერი ვიქნები და შენ სალდათი, ომიანობავითამაშოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არ მინდა.

— მე გუშინ რომ მედუქნეობა გეთამაშე და დარჩინი მოგყიდე! როცა შენ „ქალბატონობას“ თამაშობდი მე შენი კუკი მეჭირა და მამყავდა თუმცა სრულებით არ მესიამოვნებოდა. ეხლა შენც ჩემდა სასიამოვნოდ ომიანობა მეთამაშე!

შენ, საძაგელი და ავი ხარ! დიაღ! შენ ომი მოგწონს, სადაც ვინ იცის რამდენი დახოცილი იქნება.

— მოკლულნი ხომ ჩვენი მტრები იქნებიან!

— სულ ერთია, მტრებიც და ჩვენებიც.

— არა, მარტო მტრები! გინდა სურათებს გაჩვენებ?

— არ მინდა... მეცოდებიან... დღეს თამაშობა არ მინდა.

მე ძალიან მეწყინა და უთხარი:

— როგორც გნებავდეს... მე უშენოდაც კარგა ვითამაშებ.

სახლში გავიქეცი და თავით ფეხამდინ შეიარეღებული დავბრუნდი, ხელებ ჩამოშვებული, სწორის ნაბიჯით, მოვდიოდი და თან ჰაერში თოფს ვისროდი, ღოროტოტოც წამოვიღე იმ იმედით, რომ ლიუსი დაუკრავდა, იმან მუსიკა კარგათ იცოდა და ღოროტოტოზე დაკვრა უფრო ემარჯვებოდა. ლიუსი ბაღში აღარ იყო, ბედზე იქ შავი ბანჯგვლიანი ძაღლი ფიდო დამიხვდა, ხუჭუჭი ბალანი თვალებზე ეფარებოდა და ტუჩებს აბურძგნული ულვაშები უმშვენებდა. ის ძველ სალდათს ემსგავსებოდა. ყურებში რამდენიმე წითელი ფრთა ჩაურჭე და უკან ფეხებით ვატარებდი, წინა ტორებში კი თოფი დავაჭერინე. ფიდო ძალიან მარჯვე იყო! იმას სამხედრო ვარჯიშობა ძალიან უყვარდა და დიდის სიამოვნებით მონაწილეობას იღებდა, ლიუსის კი არა ჰგვანდა! ომის ამბავსაც, რომელიც მამის წიგნიდამ მქონდა ამოკითხული, დიდის ყურადღებით ისმენდა. მე დარწმუნებული ვიყავი, რომ იმას ყველაფერი ესმოდა და სიამოვნების ნიშნად თავის ბანჯგვლიან კუდს იქნევდა.

ბაღში დიდხანს დავრბოდით. ფიდო მტრის ცხენოსან რაზმს წარმოადგენდა და მე ვიმარჯვებდი, ჩემის ბრძანებით ხან მოკვდებოდა და ხან გაცოცხლდებოდა; მეათე გამარჯვების შემდეგ გამოუცხადე:

— ფიდო, მე შენი ძალიან მაყოფილი ვარ!

ასე ამ სიტყვებით ნაპოლეონი თავის ჯარს მიმართავდა ხოლმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადილობის დროც მოახლოვდა და სახლში გავიქეცი. შინ შარტო დედა იყო და დიდხანს მოგვიხდა ცდა. მამა და ძმები ქალაქში წასულიყვნენ. როგორც დედამ სთქვა იქ აუარება ხალხია შეკრებილი. ჩვენ ქუჩაზე კი სრული სიჩუმე სუფევდა.

კარგა ჩამოღამდა, როდესაც ჩვენები სახლში დაბრუნდნენ ჩვენ კარებთან ველოდით.

მამა თავჩაღუნული და ხელები ზურგზე შემოწყობილი მოდიოდა.

მე მხიარულად მივეგებე, მაგრამ იმას ჩვეულებრივი ალერსის და ხუმრობის თავი არ ჰქონდა, ოდნავ მაკოცა.

—ომი?—ჰკითხა დედამ.

—დიაღ,

ორივეს მწუხარე და მოწყენილი სახე ჰქონდათ; ჩემი უსაზღვრო კმაყოფილება, რომ ომი იწყობა--ვერ გავამხილე.

სადილზე ყველანი დაღვრემილები იყვნენ. მე ჯერ ჩვენ ოჯახში ამისთანა სიჩუმე არ მახსოვს. მამამ სთქვა, რომ ომი ამ დილით გამოუცხადებიათ და სატახტო ქალაქის მცხოვრებლები აღტაცებაში არიან და სრული გამარჯვების იმედი აქვთ... შემდეგ სადილზე კრინტი არავის არ დაუძრავთ, ყველანი ჩაფიქრებული და თავჩაღუნული ისხდნენ.

სუფრის ალაგება ვერც კი მოასწრეს, რომ მე მიბრძანეს დასაძინებლათ წავსულიყავი. როგორ, სადილის გათევების უმალვე განა ხმა ამოუღებლივ ამ გვარ ბრძანებას დავემორჩილებოდი? ხშირად ნახევარ საათის ზეზე დარჩენას გამოვითხოვდი ხოლმე და ათას გვარ ეშმაკობას და ალერს ვხმარობდი, რომ არ წავსულიყავ დასაძინებლათ. ეხლა კი მამამ წარბები მოიღუშა და დაიყვირა:

წადი ეხლავე!

მამა!

ხელში ამიყვანეს და საწოლ ოთახში შემიყვანეს, გამხადეს და დამაწვინეს. ჯერ გონზე ვერც კი მოვედი, რომ ოთახის კარები გამოიკეტეს და მარტოკა ბნელაში დამტოვეს. ამ გვარმა არა ჩვეულებრივ საქციელმა ჩამაფიქრა და ვიგრძენ, რომ ომის გამოცხადებამ ჩემზედაც გავლენა იქონია. შევიგენ რომ ომიანობის დროს ყველანი სამხედრო წეს უნდა ემორჩილებოდენ.

ეკ. მესხისა.

(შემდეგი იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამგავი ზესკნელისა.

(წერილი მესუთე)

ცოოქილი ვარსკვლავები.

I.

ვენი მზის სამეფო—საბრძანებელს **მზის სისტემა** ჰქვიან (მეცნიერულათ), ამ სისტემის შუა გულში, ცენტრში ტრიალებს თავის „ღერძის“ გარშემო უზარ-მაზარი ბორბალი, ცეცხლის ბურთი, **მზე**. როგორც უკვე ვიცით მზე შესდგება თეთრამდე გავარვარებულ გაზის და ორთქლისაგან. ამ თავისს უსაშინელეს სიცხე-სინათლეს მზე ასხივებს, უშრეტელათ აფრქვევს და სტყორცნის სამყაროს უსაზღვრო სივრცეში.

ცხოველ-მყოფელს, დიდებულ მზეს გარს უვლიან მთელი ჯგუფი ცთომილ ვარსკვლავებისა, რომელთაც ბერძნულათ **პლანეტა** ეწოდებისთ.

პლანეტები ერთსა და იმავე გეგმით მოძრაობენ, თავის „ღერძის“ გარშემო ტრიალებენ და იმავე დროს ზოგადი კანონის ძალით, ნირ შეუშლელათ გაქანებული გარს უვლიან, თავს ევლებიან ცენტრალურ დედა-მნათობს, სიცოცხლის წყაროს **მზეს**.

—

„აჰა, მოწმობენ ვარსკვლავნი შვიდნივე მემოწმებიან
მზე, ტარიდი, მუშთარი და ზუჰალ ჩემთვის ბნდებიან,
მთვარე, ასპიროზ, მარიხი მოვლენ და მოწმათ მყვებიან,
მას გააგონე რანიცა ცეცხლნიც უშენოთ მდებიან“...

—

ეროვნული ბიბლიოთეკა

XII საუკუნეში წმიდა თამარის მეფობის დროს. ჰო და ამ შვიდასი წლის წინეთ ასტრონომიაში ბტოლომეს სწავლა—მოძღვრება მეფობდა, ამიტომაცაა რომ შოთა შეცდომით იხსენიებს მზეს და მთვარეს ცთომილ ვარსკვლავებათ. შოთა სცდება ისე, როგორც მისი დროის ყველა მეცნიერი სცდებოდა.

პტოლომეის სისტემით დედამიწა იყო სამყაროს ცენტრი, მსოფლიოს კერა, შუაგული და ამას მსახურებდენ შოთას შვიდნივე ვარსკელავნი.

მაშინ დედამიწა ვით სამყაროს დედაბოძი უძრავათ იდგა, ხოლო მზე, მთვარე და ხუთი პლანეტა თავს ევლებოდენ მას, დედამიწას.

შოთას დროს ვარსკვლავთ მრიცხველობა (ასტრონომია) დიდათ განვითარებული იყო არაბისტანში, ასე გასინჯეთ თბილისშიაც კი ჰქონდათ არაბებს ობსერვატორია გამართული ფიზიკურ და ასტრონომიურ კვლევა-ძიებისთვის. არაბებმა როდესაც ეგვიპტე და საბერძნეთი დაიპყრეს, მაშინ ამ განათლებულ ხალხთაგან შეითვისეს ასტრონომიაც და დიდის ხალისითაც განავითარეს. ამ გვარათ არაბები, რომელნიც ცდილობდენ ცეცხლითა და მახვილით გაეფრცელებინათ ფეღამბარის რჯული მთელს მსოფლიოში, იმავე დროს დიდის ხალისით და აღტაცებით ითვისებდენ სწავლა-მეცნიერების ყოველ დარგს და კიდეც მიაღწიეს უმწვერვალეს ცივილიზაციას, განათლებას. ამიტომაც პტოლომეის სისტემა არაბებმა ბაღდადში გადაიტანეს და დითათ განავითარეს*)

პლანეტთა სახელები შოთას არაბული შემოუღია და მართლაც მის დროს ცნობილი და აღმოჩენილი იყო მზოდოთ ხუთი ბდანეტა: ოტარდი (ვენერა), მუშთარი (იუპიტერი), ზუბდ (სატურნი), ანსბირაზ (მერკური და მარიხი (მარსი).

II.

პტოლომეის სისტემა-კანონები თითქმის 1500 წელიწადი მეფობდა. ბევრს მეცნიერს ბარე ფიქრათ მოსდიოდა, ეჭვი

*) გარდმოცემა სუფევს: როდესაც ბერძნებმა ხაკი ითხოვეს, მაშინ არაბეთის ხალიფამ ალ-მამუმ სხვათა შორის პირობად მოსთხოვა ბერძნებს, რათა ყოველივე მეცნიერული ხელთ ნაწერი მისთვის გადაეცათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეჰქონდა გამეფებულ სისტემაში, მაგრამ ვერავინ ეჰბედავდა ხმის ამოღებას, გამბილებას, — მაშინათვე ღვთის გარეგნობას დასწამებდენ და კოცონზე დასწვამდენ.

მაგრამ იპრიანა ღმერთმა და მეცნიერების სასახელოთ და კაცობრიობის საბედნიეროთ დაიბადა გენიოსი ადამიანი **ნიკოლოზ კოპერნიკი** (1473—1543), რომელმაც დიდს შემოქმედობითი ნიჭთან ერთათ დიდი გაბედულებაც გამოიჩინა. **დედაბუდმა კოპერნიკმა** პირველმა გაბედულათ უარჰყო და სრულებით დაარღვია 1500 წლის გამეფებული ტრუ სწავლა მეცნიერება, კოპერნიკმა სამყაროში ტახტი დაუდგა, დედამიწა დაამყარა, რომელსაც გარს უვლიან, თავს ევლებიან ყველა მნათობნი და თვით ჩვენი დედამიწაც.

ამ ახალმა სწავლა—მოძღვრებამ დიდი ამბოხება, აურ-ზაური გამოიწვია მეცნიერებში და მეტადრე სასულიერო წოდება დიდათ ღელავდა. არავის არ სჯეროდა, რომ ეს უზარ-მაზარი დედამიწა, ბუმბერაზ მთებით, ამდენი მილიონი ხალხით, აუარებელ მცენარე-ცხოველებით, ზღვით და ხმელეთით მოძრაობდა და თანაც გარს უვლიდა მზეს.

კოპერნიკი თუმცა ეშმარიტს გზას დაადგა და კვალ და კვალ მიჰყვა კვლევა-ძიებას, მაგრამ მაინც მისი სისტემა რთული და ძნელი გასაგები იყო, კოპერნიკმა ვერ შესძლო აშკარათ გამოეთქვა თავისი ღრმა მოსაზრებანი და სწორეთ ამით დიდათ სარგებლობდენ მისი აზრის მოწინააღმდეგენი.

არ გაუვლია ას წელიწადსაც, როდესაც მეცნიერებას მოევლინა უდიდესი გენიოსი **იოანე კეპლერი** (1551—1630), რომელმაც სავსებით შეითვისა კოპერნიკის სწავლა-მოძღვრება და თავისი უძლიერესი შემოქმედებითი ნიჭით ყოველივე ცხად ჰყო, რთულიც კი გაამარტივა. კეპლერმა სამარადისოთ დაამყარა დიდებული მზე თავის კუთვნილ ადგილას, სამყაროს ცენტრში და ყველა მნათობი მას ამსახურა.

დღეს მეცნიერება ბედნიერათ სთვლის თავს, რომ კოპერნიკის შემდეგ კვლავ არ დასჭირდათ ათასი წლობით მოლოდინი და თვით განგებამ მოუვლინა ეს უდიდესი გენიოსი **კეპლერი**. სწორეთ კეპლერმა აღმოაჩინა მეტათ მარტივი სამი ძირითადი კანონი, რომლის ძალითაც მოძრაობენ სამყაროში ყველა მნათობნი უწყებულ წესით და მიმართულებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ გაუვლია სულ ათიოდე წელიწადსაც, რომ კეპლერის შემდეგ ერთს გლეხკაცს დაებადა ვაჟი-შვილი ისაკ ნიუტონი (1643+1727) რომლის უადრესმა გენიოსობამ ყველას გადააჭარბა, ამან, ნიუტონმა, სრულებით ცხად ჰყო კეპლერის კანონი და საიდუმლონი ბუნებისა. მისწვდა ყოველივე მიუწდომელს და ძრიელ ადვილ გასაგებათ, სადაც ყველაფერი ახსნა და დააკანონა. ნიუტონმა შექმნა ახალი ხანა ასტრონომიაში. დღეს მეფობს ნიუტონის მარტივი კანონი მნათობთა შორის ურთიერთ მიმზიდველობისა. დღეს მეცნირებას ხელთ უპირავს გარდაუვალი საბუთი და კანონები, რომლითაც შეუძლიან ბავშვიც კი ჩაახვედროს, რომ მზე სდგას (თავის „ღერძზე“ ტრიალებს) ხოლო ჩვენი დედამიწა გარს უვლის მზეს ისე, როგორც ყველა დანარჩენი მნათობნი. ჩვენი დედამიწაც სამყაროში დასრიალებს, მნათობთა შორის არის ჩარიცხული, კეკლუც ვარსკვლავათ ითვლება.

III.

კეპლერის და ნიუტონის შემდეგ ორი პლანეტა კიდევ აღმოაჩინეს; ურანისი 1781 წ. და ნეპტუნისი 1846 წ. ამ გვარათ დღეს ცნობილ არიან რვა დიდი პლანეტა, რომელთა შორის ჩვენი დედამიწაც ისახელების. მზესთან უახლოესს ეწოდების.

1. ჯდისი ქართულათ, merkuri ლათინ. ესპერანტზ არაბულათ. ამ ჯდის რიგზე მისდევენ:
2. თამარ ქართ. ვენერა ლათ. ოტარადი არაბ.
3. დედამიწა.
4. ირაკლი ქართ. მარსი ლათ. მარიხ არაბ.
5. ზადენ ქართ. იუპეტერ ლათ. მუშთარ არაბ.
6. ანრისზ ქართ. სატურნ ლათ. ზუალ არაბ.
7. ქარიდანის ქართ. ურანუს ბერძნ.
8. ოგერი ქართ. ნეპტუნისი ლათ.

რა წესით და კანონით ეს პლანეტები მზეს გარს ევლებიან, იმ გვარათვე ზოგიერთ პლანეტას გარს უვლის სხვა თანამავალი მნათობი. მაგალითათ პლანეტა დედამიწის თანამავალს მთვარე ჰქვიან, დედამიწას მსახურობს, თავს ევლება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პლანეტა კოლხის (მერკური) დიამეტრი (გარდიგარდმო სიგრძე) ცოტათი ნაკლებია დედამიწის დიამეტრის ნახევრისა; პლანეტა თამარი (ვენერა) თითქმის რო იმ სიდიდისა არის, როგორც პლანეტა დედამიწა, ხოლო პლანეტა არაკდი (მარსი) სიდიდით ისევ კლებულობს ე. ი. დედამიწა თითქმის ორჯერ დიდია, ვიდრე არაკლი.

პლანეტა დედამიწას როგორც ვიცით ერთი მთვარე მსახურობს, პლანეტა არაკლის კი ორი მთვარე ახლავს, გარს ევლებიან. ორივე პაწაწებია. კოლხი, თამარი, დედამიწა და არაკდი, ეს ოთხივენი შიგნითა პლანეტებათ იწოდებიან.

ამ ოთხ პლანეტთა შემდეგ მისდევს დიდი ჯგუფი ძველ პატარა პლანეტებისა, რომელთაც სახელათ დანათლეს ბერძნულად ასტეროიდები ანუ ᲭᲓᲜᲘᲢᲝᲔᲑᲘ. აქამდე აღმოჩენილია 200-ზე მეტი ასტეროიდი, მაგალითათ ცერერა, ᲭᲐᲓᲔᲓᲔᲑᲘ ᲘᲣᲜᲝᲜᲘ, ᲕᲔᲡᲢᲐ და სხვ. ესენი დასრიალებენ პლანეტა არაკდის (მარსი) და ზადენის (იუპიტერი) ორბიტთა შორის სივრცეში.

ასტეროიდების დანახვა (ორიოდეს გარდა) თუ არ ტელესკოპით, ისე თვალით შეუძლებელია.

ამ ასტეროიდთა ჯგუფის შემდეგ მისდევენ ესრეთ წოდებული გარეგანი ᲭᲓᲜᲘᲢᲔᲑᲘ, რომელნიც ძრიელ დაშორებულ არიან მზიდან. ყველა ესენი სიდიდით მეტის მეტათ სჯარბობენ შიგნითა პლანეტებს.

უახლოესი ამათგანი (გარეგანი პლანეტა) არის ყველა პლანეტაზე უუდიდესი პლანეტა ზადენი (იუპიტერი), ამის გარდი გარდმო სიგრძე 143,90 კილომეტრს უდრის ე. ი. ათჯერ აღემატების დედამიწაზე, ხოლო რაც შეეხება პლანეტა ზადენის ორბიტის დიამეტრს (სავალ შარა გზას) ეს მანძილი ზადენისა ხუთჯერ დიდია დედამიწაზე. მზის გარშემო (ორბიტა) ერთხელ შემოვლას ზადენი (იუპიტერი) თორმეტი წელიწადი უნდება. თუმცა ზადენი როგორც ვსთქვით მეტათ უზარ-მაზარი რამ მნათობია, მაგრამ სისწრაფეშიაც-კი დედამიწას მეტათ უსწრობს. მაგალითათ, დედამიწა თავის ღერძზე ტრიალს, ერთჯერ შემოვლას 24 საათი უნდება, ზადენს კი ათი საათი დრო სჭირდება ერთს სრულს შემოტრიალებაზე. ზადენს თავს ევლებიან ოთხი თანამავალი, ოთხი მთვარე. ზა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დენის შემდეგ მისდევს პლანეტა არმაზი (სატურნი). ეს პლანეტა თავის სიდიდით მხოლოთ ზადენს ჩამორჩება.

არმაზი მეტათ შესანიშნავი მნათობია, მას ახლავს რვა თანამავალი, რვა მთვარე ევლება გარს. ამასთანავე პლანეტა არმაზს რამდენიმე რკალი არტყია გარს—რიგ—რიგათ და უწყებულ მანძილზე დაშორებულნი.

ახლა ვსთქვათ იმ ორ პლანეტაზე, რომელნიც როგორც უკვე ვიცი შოთას შემდეგ იყვენ აღმოჩენილნი.

პლანეტა არმაზს მისდევს კიდევ ორი დიდი პლანეტა ნაკლებ ცნობილნი ᲥᲠᲝᲜᲝᲡᲘ (ურანოსი) ოთხის თანამავლის მთვარით და პლანეტა ივერი (ნეუპტუნოსი) ორის მთვარით.

IV.

ასე და ამ გვარათ ჩვენ უკვე ვიცით, რომ ზოგი პლანეტა დედამიწას სიდიდით სჯარბობს, ზოგიც ნაკლებია, მაგრამ ყველა ისინი მზეს გარს ეგლიან, თავს ევლებიან და იმავე დროს თავის საკუთარ „ღერძზედაც“ ერთსა და იმავე უწყებულ მიმართულებით ციბრუტივით ტრიალებენ.

მეცნიერებას ხელთ უჭირავს კვლევა ძიებით ნაპოვნი ბევრ გვარი უტყუარი საბუთი, რომელიც იმ აზრს ჰბადებს, რომ ზოგიერთა პლანეტა ატმოსფერათი (ჰაერით) არის მოცული, გარს შემორტყმული, იქაც ღრუბლები ისე დაცურაობენ, როგორც ჩვენს დედამიწის ატმოსფერაში; იქაც ქარი ჰქრის და ჰაერი მოძრაობს. მაგალითათ:

პლანეტა ირაკლიზე (მარსი) აღმოაჩინეს ზღვა და ხმელეთი, ხოლო მისი (ირაკლის) პოლიუსები (თავი და ბოლო) მარადის დაფარულია თოვლითა და ყინულით, სწორეთ ისე, როგორც ჩვენი დედამიწის პოლიუსებია გაყინული.

რა საშინელი სივრცე უპყრია მზის სისტემას ჩვენს სამყაროში ეს ადვილათ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ თუ რა ანგარიშს მივიღებთ თვითეული პლანეტა მზიდან რა მანძილზე არის დაშორებული.

1. პლანეტა ᲙᲝᲜᲯᲘ შორავს მზეს 58 მილ. მილიმეტრით*)
2. „ ᲗᲐᲛᲐᲠᲘ „ „ 108 „ „

*) მილიმეტრი ათასი ადლია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3.	პლანეტა	დედამიწა	შორავს	მზეს	149	მილ.
4.	„	ირაკლი	-	„	227	„
5.	„	ზადენ	„	„	777	„
6.	„	არმაზი	„	„	1424	„
7.	„	ქართლოსი	„	„	2864	„
8.	„	ეგერი	„	„	4487	„

ეს ბოლოს ბეჭდილი ნაწილი მეტი

თუმცა ასეთი საშინელი სივრცისაა ჩვენი მზის საბრძანებელი, მაგრამ განა, რა სათქმელია ეს სივრცე, როდესაც ჩვენი მზის სისტემას სულ რაღაც ერთი ნამცეცა ნაწილი უქირავს მთელს სამყაროში.

ამის დასამტკიცებლათ საჭიროა გავიხსენოთ, რომ მთლათ ცის გუმბათი მოფენილია, —მოუედილია აუარებელ, ურიცხვ ვარსკვლავებით. ამათგანი ზოგი ახლოს არის და უფრო ძრიელათ გვიშუქებს, საამოთ ციმციმებს, ზოგი ვარსკვლავი კი მეტის მეტათ ძრიელ არის ჩვენზედ დაშორებული, რის გამოც მქრალათ გვინათებენ, ოდნავ ბჟუტავენ.

მაგრამ რო ვამბობთ ზოგი ახლოს არის ჩვენზედ ვარსკვლავი და ზოგი დაშორებულიო ეს მხოლოთ სიტყვებია. ნამდვილათ კი გამოსათქმელათაც-კი ძნელია რა საშინელი მანძილით არიან ვარსკვლავები ჩვენზედ დაშორებულნი. ჩვენი გონება ვერავითარ ციფრებს ვერ გამოიგონებს ამ მანძილის აღსანიშნავათ ერთათ-ერთი საშუალებაღა დაგვრჩენია, რათა ცოტაოდნათ მაინც წარმოდგენა ვიქონიოთ სივრცისა და მანძილისა. სახელდობრ, ჩვენ უნდა შეგვადარეთ სხვა რომელიმე სივრცეს მაგალითათ, ჩვენი მზის სინათლე საშინელის სისწრაფით გამორბის ჩვენკენ, ასე რომ ერთს სეკუნდაში*) ორმოც ათას მილს**) მოფრინავს და მაინც დედამიწის და მზის შუა მანძილის გარბენას 8½ მინუტი***) უნდება. ესე იგი მზის სინათლე ჩვენამდე რვა ნახევარ წამში ჩამოდის.

*) სეკუნდა ღ ათინური სიტყვაა, ქართულათ წუთი.

**) მილი ფრანგული სიტყვაა, სიგრძით უდრის რუსულ ვერსტს.

***) მინუტი ლათინ. სიტყვაა, ქართულათ წამი. სამოცი წუთი ერთი წამია და სამოცი წამი ერთი საათია. დღეს ჩვენმა მწერლებმა ისე აურიეს წამი და წუთი ერთმანერთში, რომ იძულებულნი ვარ სხოლოოთი ავსხნათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აი ახლა ამ სისწრაფესთან რო **შეადაროთ** აღმონჩნდება, რომ უახლოესი ვარსკვლავიდან ჩვენამდე სინათლე ჩამოდის **სამ წელიწად ნახევარში**, მაგრამ ეს კიდევ რა სათქმელია! ზოგი ვარსკვლავი ისეთს წარმოუდგენელ სივრცეზეა დაშორებული, რომ ვიდრე მისი სინათლე ჩვენამდე ჩამოვიდოდეს **ს.მა ათას ხუთასი** წელიწადი დრო უნდება!.. ესე იგი ამ შორეულ ვარსკვლავიდან **წამოსულმა სინათლემ**, რომ მზის სინათლის სისწრაფით იფრინოს ჩვენკენ 3500 წელიწადი დრო დასჭირდება ვიდრე, დედამიწამდზე უწევს.

მაგალითათ **ფარნაგზ** მეფე რო დაიბადა აიმ პოლიარულ ვარსკვლავმა თავის შუქს მოკითხვის წიგნი გამოატანა — მახარობლათ გამოგზანა, მაგრამ **ჯერეც კ**�ა.

ჩამოვა იმ დროს (1283 წლ. შემდეგ) როდესაც ჩვენი ტურფა სამშობლო უაღრესათ განვითარებული, ქვეყნის სამოთხეთ იქნება გარდაქცეული.

რა უსაზღვრო რამ არის სამყარო, რა უზარ-მაზარი სივრცე უპირავს, ზემო ნათქვამიდამ ჯერ კიდევ მაინც ვერ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ! საქმე იმაში მდგომარეობს, რომ თვითეული **ვარსკვლავი იგივე მზე არის**, თავის თავათ **მზეობს**, ჩვენი მზესავით მბრძანებლობს. ამ ურიცხვ მზეებთა შორის სიდიდით ძრიელ ბევრნი სჭარბობენ ჩვენს მზეს. თანაც უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამ მზეებს გარშემო უვლიან მნათობნი, თავს ეკლებიან ისე, როგორც ჩვენს მზეს. ყოველივე ამას რო დაუფიქრდება ადამიანი, გონება ვეღარ მიუწვდება და უნებლათ იმას ღა იტყვის: ვუი! რა უზომოთ პაწია წერტილს შეადგენს სამყაროს უსაზღვრო სივრცეში, საბრალო ჩვენი დედამიწა!

ილ. ალხაზიშვილი.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოსმალეთი

ისლამი

ისლამში ძლიერ განვითარებულია ის აზრი, რომ ყოველ ადამიანს აღრევე აქვს მინიჭებული არამც თუ ბედ-იღბალი, არამედ ყოველი ნაბიჯი მოქმედებისა.

ზნეობრივი სწავლა მოჰამედისა გვიჩვენებს მეტ წინსვლას შედარებით იმასთან, რასაც წარმოადგენდა ზნეობრივი მხარე არაბეთის დასაქსულ ერებისა. შურის ძიებას, მტრობას, დაქსასვას მან წარუყენა სიკეთე, მთლიანობა, ერთობა, სიმშვიდე. ამაში იყო მეტათ დიდი მნიშვნელობა ისლამისა. მატერიალურმა პიროგბმა, რომელშიაც აღმოცენდა ეს ახალი სწავლა მას, თავისი ბეჭედი დაადო განყენებულ აზრებს იმ დროს არ შეეძლოთ შეექმნათ სახელმწიფოების მშვიდრო მთლიანობა. საჭირო იყო კანონები და წესები, რომლის ძალითაც უნდა განეგოთ საზოგადოებრივი ცხოვრება. ეს კანონები და წესები გასაგებარი უნდა ყოფილიყო იმ ხალხისთვის, რომლისათვისაც დანიშნული იყვნენ. ამ კანონებს და წესებს უნდა დაედასტურებინათ მთელი ცხოვრება. მოჰამედმა ასეთი კანონი შეჰქმნა.

ეს იყო პრაქტიკული მიზანი, რომელსაც წინასწარმეტყველი მისდევდა მომეტებულათ მაშინ, როდესაც გახდა პოლიტიკურ წინამძღოლათ. ის იძულებული იყო თავისი რელიგიოზური სწავლა ცხოვრებაში შეეტანა. როდესაც. მას ესაჭიროებდა დახმარება, მან შემოიღო თავის სწავლაში ზოგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი წესები, როდესაც დასჭირდა შეეკავშირებინა ზეგიერთი დამოუკიდებელი არაბული ტომები, მან მიიღო ზოგი მათი წესები. მას არ შეეძლო მოეხდინა ძირითადი ცვლილება სოციალური წესწყობილებისა, მას შეეძლო მხოლოდ თავის ყურაზში აღიარებინა ის, რაც მიაჩნდა ხალხს და უარეყო ის, რაც არ ეთანხმებოდა ხალხის აზრონებას, შეხედულებას. ოღონდ კი აესრულებინა თავისი მიზანი, მოჰამედს ვერ გაჩერებდა ვერასფერი. მას არ ეშინოდა მახვილისა. როდესაც მას აუჯანყდა გაუგებრობით ერთი ნაწილი მისი ხალხისა, მოჰამედმა თავი შეიფარა ქ. მედინაში და აქედან სხვა თავისი მიმდევრების დახმარებით ქედი მოახდევინა მათ. რომ მოეხიბლა ღარიბი ხალხი, ის სდევნიდა მდიდრებს. მან დაადგინა სავალდებულო შეწირვა ფულისა ღარიბთათვის; შემდეგში, როდესაც მდიდრებმა აღიარეს მოჰამედის მნიშვნელობა, მან ესენიც მოხიბლა. მოჰამედმა განდევნა კაბის საკურთხეველიდან ყველა კერპები, დასტოვა მხოლოდ აბრაამის ქვა და სავალდებულო გახადა ყველა მართლ-მორწმუნეთათვის ერთხელ მაინც სიცოცხლეში მისულიყო კაბასთან. ეს ხელსაყრელი იყო არაბელ ვაჭრებისათვის, და ამავე დროს ხელს უწყობდა რელიგიოზურ და კულტურულ ერთიანობას.

თითქმის ყოველ ცალკე შენთხვევისათვის იყო მზათ განაჩენი და კანონი. ხშირადა ეს განაჩენები და კანონები ეწინააღმდეგებოდენ მოჰამედის სწავლის დედა-აზრს და ერთი მეორესაც კი. ამ განაჩენების გარდაწყვეტილებას ის აცხადებდა, როგორც ღვთისაგან ჩაგონებულს და ამიტომაც სავალდებულოთ ხდიდა ყველასათვის. სწერდა მას რაზედაც კი შეხვდებოდა, ტყავზე, ქვაზე, უფრო ხშირათ კი მათ ინახსოვრებდენ მსმენლები. მოჰამედმა თვითონ კი იცოდა წერა-კითხვა და არ შეეძლო შეედარებინა უწინდელი ნათქვამი ეხლანდელთან. მისი სიკვდილის შემდეგ, როდესაც ომებში დაიღუპნენ მისი საუკეთესო მოწაფეები, მცოდნენი მისი სწავლისა, შესაძლო იყო, რომ სულ ბევრი დაკარგულიყო ზეპირათ წარმოთქმული გამოცხადებანი წინასარმეტყველისა.

ხალიფ ოსმანის დროს შეკრიბეს და ჩასწერეს მოჰამედის იტყვები, აზრები, დადგენილებები, შეადარეს იგინი ზეპირ გად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოკემას წინასწარმეტყველის თანამედროვეებასა და მეგობრებისას, ამ, რიგად შესდგა ყურანი, საფუძველი ისლამისა. ამ წიგნში ნახავთ ყოველისფერს: ზნეობრივ კანონებსაც, ფილოსოფიურ სწავლასაც, პრაქტიკულ ცნობებსაც, საექიმო ცოდნასაც, იურიდიულ დადგენილებებსაც, გრძნობების (ლირიკულ) განცხადებასაც.

მოჰამედი ძლიერ ცრუ-მორწმუნე იყო. ყოველგან ის ხედავდა ამა თუ იმ ნიშანს, სჯეროდა სიზმრებისა, და კეთილი ანგელოზებისა. ამ ცრუ მორწმუნეობამ იქონია თავისი გავლენა წინასწარმეტყველის სწავლაზედ, ისმალოები საზოგადოთ ძლიერ ცრუ მორწმუნენი არიან. მათაც სჯერა რომ არსებობენ ავი და მავნე სულები. მთელ ოლქს შიშის ზარს სცემენ ხოლმე ეს ავი სულები. მათ შეუძლიან გადასწვან სოფლები, გააჩინონ სახადი, ავადმყოფობა, ჩაფუშონ კარგათ დაყენებული საქმე. ასეთია ავი თვალი, უეცარი ავადმყოფობა შედეგია გათვალვისა. გათვალული ხ�eება, დნება, ერთად-ერთი წამალია შელოცვა, მექიდან მოტანილი კენჭის ანუ მიწის ყელზე შებმა. ისმალეთში ძლიერ ბევრს ნახავთ მარჩიელს, სიზმრების ამხსნელს, კუდიანებს, ყოველ ნაირ გაიძვერებს. ისლამი მოსთხოვს მართლ მორწმუნეს—რწმენას და კეთილ საქმეებს. უნდა გჯეროდეთ, რომ ღმერთი ერთია, მას ჰყავს ანგელოზები უნდა გწამდეს, რომ არიან წინასწარმეტყველნი და მათში პირველი მოჰამედი; უნდა გწამდეს, რომ სული უკვდავია, უნდა გწამდეს, რომ მოვა საშინელი განსაცდელის დღე; უნდა გწამდეს, რომ ბედი ყველას წინასწარ აქვს დანიშნული.

ღმერთი არის ერთი. ეს უნდოდა ჩაეგონებინა წინასწარმეტყველს თავის მიმდევრებისათვის. ამისათვის მან დაიწესა, რომ დღეში ხუთჯერ მოეგონებინათ მართლ მორწმუნეთათვის მათ მოლლებს, რომ ღმერთი არ[illegible] და მოჰამედი მისი წინასწარმეტყველია. ამასვე [illegible] ყველ[illegible]ოცვებში. ეს გამჯდარი აქვს ისმალოს სულში-ხორცში.

[illegible] ფ—სი.

(შემაჯამებელი აქნება).

ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Открыта подписка на 1915 годъ
НА ГАЗЕТУ

„Закавказская Рѣчь“

(Годъ изданія шестой).

Подписная цѣна

Съ доставкой на домъ:	Въ Тифлисѣ.	Въ провинціи.
На годъ	6 руб. — коп.	8 руб.
„ полгода	3 руб. 50 коп.	4 руб—50 коп.
„ 3 мѣсяца	2 руб. — коп.	2 руб 25 коп.
„ 1 мѣсяцъ	— 75 коп.	— 75 коп.

Отдѣльный номеръ 5 коп.

АДРЕСЪ: Тифлисъ, редакція газ. „Закавказская Рѣчь“, Дворцовая ул. д. Сараджева. Для телеграммъ: Тифлисъ, „Закавказская Рѣчь“.

Редакторъ К. . Тумановъ Издатель Э. З. Горделадзе.

თბილისის წიგნის მაღაზიებში და ავტორთან (თბილისი, ბარათაშვილის ქუჩა, 6) ისყიდება:

Характеристики и воспоминанія

Кн. Г. М. Туманова.

სამი ნაწილი, ფასი თითო ნაწილისა—50 კ.

შინაარსი: გ. წერეთელი.—თ. დავ. ერისთავი.—ვ. ჩერქეზიშვილი.—ა. ხახანაშვილი.—ვ. პეტრიაშვილი.—ა. ყაზბეგი.—თ. რაფ. ერისთავი.—ნ. ბარათაშვილი.—თ. ვახტ. ორბელიანი.—ზ. ანტონოვი.—ლ. არდაზინი.—ი. ნინოშვილი.—გ. სუნდუკიანცი.—ა. ცაგარელი.—თ. ილ. ქავქავაძე.—ქართული თეატრის ისტორიიდან.—რუსის და სომხის მწერლები და სხვა მოღვაწეები ჩვენში, და სხვ.

3/57

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯეჯილი

საუმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

ოცდა მეექვსე წელიწადი.

ჯეჯილი დაარსებულია 1890 წელს.

გამოვა 1915 წ. თვეში ერთხელ, ჟურნალში ორი განეოფილებაა, პატარებისათვის და მოზრდილთათვის.

ჟურნალი «ჯეჯილი» თბილისში ეღირება 4 მან., ქალაქ გარეთ (გაგზავნით) 5 მან.

ნახევარი წლით 3 მან., ცალკე ნომერი 40 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება: თბილისში—«ჯეჯილის» რედაქციაში, (არტილერიის ქუჩა, № 5.)

ფოსტის ადრესი: Въ тифлисъ въ Ред. Грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“